F171
1977

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო

# ბრძანებათა და ინსტრუქციათა

# კ რ ე ბ უ ლ ი

**8**

# С Б О Р Н И К

## ПРИКАЗОВ И ИНСТРУКЦИЙ

МИНИСТЕРСТВО ПРОСВЕЩЕНИЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

აგვისტო

F4528

თბილისი 1977

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის, საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის ბიუროსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტის კოლეგიის

# დადგენილება

28 ივლისი—1977 წ.

## საქართველოს მოსწავლეთა XXIX სპარტაკიადის შედეგების შესახებ

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-60 წლისთავისადმი მიძღვნილმა საქართველოს მოსწავლეთა XXIX სპარტაკიადამ ერთგვარად გააუმჯობესა რესპუბლიკის მოსწავლეთა შორის მასობრივ-ფიზკულტურული მუშაობა და ხელი შეუწყო სპორტული რეზერვების გამოვლინებას.

სპარტაკიადაში მონაწილე ყველა ქალაქისა და რაიონული სპორტული კოლექტივები წლეულს პირველად გაერთიანდნენ ტრადიციების, სპეციფიკურობისა და შესაძლებლობების გათვალისწინებით. ცალკეული ჯგუფებისათვის შერჩეული იყო სავალდებულო სპორტის სახეობანი. სპარტაკიადის პირველი და მეორე ეტაპი ჩატარდა ბავშვთა სპორტული თამაშის „იმედის სტარტის" პროგრამით, რომელშიც მონაწილეობდა 300.000, ხოლო ზონალურ, ნახევარფინალურ და ფინალურ შეჯიბრებაში 10000 მეტი მოსწავლე.

აფხაზეთის ასსრ-სა და აჭარის ასსრ განათლების სამინისტროებმა, ქ. ქ. თბილისის, ქუთაისის, რუსთავის, გორის, ფოთისა და ხაშურის, თელავის, ახმეტის რაიონის განათლების განყოფილებებმა კომკავშირული და ფიზკულტურული ორგანიზაციების დახმარებით უზრუნველყვეს სპარტაკიადის ფინალური შეჯიბრების მაღალორგანიზებულ დონეზე ჩატარება.

სპარტაკიადის მონაწილეებისათვის სისტემატურად ეწყობოდა კულტურულ-მასობრივი ღონისძიებანი. სპორტსმენებისათვის დამზადდა სამახსოვრო სამკერდე ნიშნები, სხვადასხვა თვალსაჩინოებანი, შე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

საზამისი მედლები პრიზიორებისათვის, დაწესებული იყო წამახალისებელი და სხვა ჯილდოები.

სპარტაკიადის მიმდინარეობის დროს შესრულდა 30-სპორტის ოსტატის, 22-სპორტის ოსტატობის კანდიდატის, 14-პირველი, 177-მეორე, 295-მესამე და ჭაბუკთა თანრიგის ნორმატივი.

სპარტაკიადამ გამოავლინა უძლიერესი კოლექტივები. პირველ ჯგუფში—თბილისი, ქუთაისი, აჭარის, მეორე ჯგუფში—ქალაქების გორისა და ფოთის, გარდაბნის რაიონის, მესამეში—მაიაკოვსკის, კასპის, ახალციხის რაიონების მოსწავლეთა ნაკრები გუნდები.

აღსანიშნავია სპორტის ცალკეულ სახეობებში ქ. ქუთაისის (კრივი, ჭიდაობა ძიუ-დო, ჭადრაკი), აჭარის ასსრ (მშ მრავალჭიდი, ნიჩბოსნობა), აფხაზეთის ასსრ (ველოსპორტი), ქ. გორი (ქართული ჭიდაობა) კასპის რაიონის (თავისუფალი ჭიდაობა) მოსწავლეთა ნაკრები გუნდის წარმატება.

აღსანიშნავია გორის, მაიაკოვსკისა და კასპის ნაკრები გუნდების წარმატება, რომლებმაც მომავალი წლიდან დაიმსახურეს მაღალ ჯგუფებში გამოსვლა.

გარკვეულ წარმატებებთან ერთად სპარტაკიადის შედეგების ანალიზი ცხადყოფს რომ, სახალხო განათლების ორგანოები, კომკავშირულ და ფიზკულტურულ ორგანიზაციებთან ერთად სათანადო ყურადღებას არ უთმობენ ზოგადსაგანმანათლებლო და ბავშვთა-მოზარდთა სპორტულ სკოლებში ფიზკულტურულ-სპორტული მუშაობის გაუმჯობესების საკითხებს. არადამაკმაყოფილებლად უძღვებიან ამ უაღრესად დიდმნიშვნელოვან საქმეს, მათ მუშაობაში კვლავ შეინიშნება ფორმალიზმი და ინერტიულობა, არაპრინციპულობა და უპასუხისმგებლობა. ბავშვთა სპორტის განვითარებაში არსებულ სერიოზულ ნაკლოვანებებზე მეტყველებს ის ფაქტი; რომ სპარტაკიადაში მონაწილე — სპორტსმენთა 50%-მა ვერ შეასრულა სპარტაკიადის დებულებით გათვალისწინებული, არც თუ მაღალი სათანრიგო ნორმატივები.

არადამაკმაყოფილებელია შედეგები ფრენბურთში, ხელბურთში, აკადემიურ და საბაიდარო ნიჩბოსნობაში, კრივში, მხატვრულ ტანვარჯიშში, ველოსპორტსა და წყალბურთში.

განსაკუთრებით სავალალო მდგომარეობაა სპორტის ისეთ წამყვან სახეობებში როგორიცაა: ცურვა, მძლეოსნობა, ტანვარჯიში.

მძლეოსნობაში სპარტაკიადაზე მოასპარეზე 350 მოსწავლიდან ვერც ერთმა ვერ შეასრულა ოსტატის, ოსტატობის კანდიდატისა და

პირველი თანრიგის ნორმატივი, ხოლო 50 მოსწავლემ—ვერც ერთი სათანრიგო ნორმატივი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიუხედავად სავალდებულო ხასიათისა, მძლეოსნობაში მონაწილეობა არ მიუღიათ ტყიბულის, ყვარლის, ორჯონიკიძის, სიღნაღის, ბოგდანოვკის, ადიგენის, საგარეჯოს, თეთრიწყაროს, ცაგერისა და წალენჯიხის რაიონებს, ხოლო ამბროლაურის, ასპინძის, ახალქალაქის, ხონისა და ჩხოროწყუს რაიონების გუნდებმა, კომპლექსურ ჩათვლაში ვერც ერთი ქულა ვერ მოიპოვეს.

უკანასკნელი ხუთი წლის განმავლობაში, საქართველოს მოსწავლეთა გუნდს ტანვარჯიშში თბილისის გარდა რესპუბლიკის არც ერთ ქალაქიდან და რაიონიდან არ მიუღია შევსება.

ანალოგიური მდგომარეობაა ცურვაში, სადაც მოსწავლეთა ნაკრები გუნდის 50% ვერ ასრულებს სპორტის ოსტატის კანდიდატის სავალდებულო ნორმატივებს.

მძლეოსნობის, ცურვის, ტანვარჯიშის განვითარებისათვის განსაკუთრებით არადამაკმაყოფილებლად წარმოებს მუშაობა აფხაზეთისა და აჭარის ა/რესპუბლიკებში, სამხრეთ ოსეთის ა/ოლქში, ქ. ქ. თბილისის, ქუთაისის, გორის, ტყიბულის, ზუგდიდის, ჭიათურის მოსწავლეთა შორის, რომლებმაც საგრძნობლად დათმეს პოზიციები.

აღსანიშნავია, რომ სპარტაკიადის კომპლექსურ ჩათვლაში საერთო გამარჯვების მიუხედავად, ქ. თბილისის მოსწავლეთა სპორტულმა კოლექტივებმა წარუმატებლად იასპარეზეს მშთ მრავალჭიდში, ნიჩბოსნობაში, კრივში, ველოსპორტში, ჭიდაობა ძიუ-დოში, ხოლო ქართულ ჭიდაობაში საერთოდ არ მიიღეს მონაწილეობა. წინასწარი თანხმობის მიუხედავად სპორტის ცალკეულ სახეობებში მონაწილეობას თავი აარიდეს ადიგენის, ახალქალაქის, გეგეჭკორის, ზუგდიდის, ლენტეხის, ლაგოდეხის, ამბროლაურის, ახმეტის, წითელწყაროს, გურჯაანის, საგარეჯოს, ბორჯომის, ვანის, მესტიის, დუშეთის, თერჯოლის, ხობის, ცაგერის, ბოლნისის, წყალტუბოს, სამტრედიის რაიონების მოსწავლეთა ნაკრებმა გუნდებმა.

განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ნაკრებმა გუნდმა პირველ ჯგუფში ბოლო ადგილი დაიკავა და მეორე ჯგუფში გადაინაცვლა. ეს ფაქტი მიუთითებს იმ არადამაკმაყოფილებელ მუშაობაზე, რასაც ავტონომიური ოლქის განათლების, კომკავშირული და ფიზკულტურულ-სპორტული ორგანოები ეწევიან ბავშვთა სპორტის განვითარებისათვის.

სპარტაკიადის შედეგების მიხედვით უაღრესად დაბალი მაჩვენებლები აჩვენეს ბოგდანოვკის, საგარეჯოს, გეგეჭკორის, ყაზბეგის, ახალქალაქის, წალენჯიხის, მესტიის, სიღნაღის, დუშეთის, გორის, ორჯონიკიძის, საჩხერის რაიონების, ქ. ზუგდიდის სპორტულმა კოლექტივებმა.

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგია, საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის ბიურო, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტის კოლეგია ადგენენ:

1. მიღებულ იქნას ცნობად ორგკომიტეტის მიერ წარმოდგენილი ინფორმაცია მოსწავლეთა XXX სპარტაკიადის ჩატარების შესახებ და დამტკიცდეს საქართველოს მოსწავლეთა XXIX სპარტაკიადის შედეგები (დანართი № 1).

2. დაჯილდოვდნენ სამახსოვრო თასებით, შესაბამისი დიპლომებით და ფასიანი საჩუქრებით სპარტაკიადის საერთო გუნდურ ჩათვლაში (ჯგუფების მიხედვით) გამარჯვებული სპორტული კოლექტივები (დანართი № 2).

3. სპარტაკიადის მთავარ მსაჯთა კოლეგიის, სამდივნოს, სამანდატო კომისიის წევრებს, სპორტის ცალკეული სახეობის უფროს მსაჯებს სპარტაკიადის შტაბის წევრებს და საერთო საცხოვრებლებზე მიმაგრებულ პედაგოგებს, სამედიცინო პერსონალს, სკოლა-ინტერნატების დირექტორებს და სპარტაკიადაზე დასაქმებულ თანამშრომლებს, ავტოინსპექციისა და ტრანსპორტის მუშაკებს, რომლებმაც აქტიური მონაწილეობა მიიღეს სპარტაკიადის ორგანიზებულად ჩატარების საქმეში, აგრეთვე საპრიზო ადგილებზე გამოსულ კოლექტივების წარმომადგენლებს, მწვრთნელებს გამოეცხადოთ მადლობა და დაჯილდოვდნენ განათლების სამინისტროს სიგელით, ფასიანი საჩუქრებით (დანართი № 3).

4. აღინიშნოს, რომ აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების სამინისტროებმა, სამხრეთ ოსეთის ა/ოლქის, სახალხო განათლების განყოფილებებმა, კომკავშირის, ფიზკულტურისა და სპორტის საოლქო, საქალაქო, რაიონულ კომიტეტებთან ერთად ჯერ კიდევ ვერ განახორციელეს საჭირო ორგანიზაციული მუშაობა მოსწავლეთა ფიზიკური აღზრდისა და სპორტის განვითარებაში არსებულ სერიოზულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად, არ გარდაუქმნიათ მუშაობა და საჭირო დასკვნები არ გამოუტანიათ მოსწავლეთა ფიზიკური აღზრდის მკვეთრი გაუმჯობესების თაობაზედ საქართველოს კომპარტიის ცენ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტრალური კომიტეტის ბოლოდროინდელ დადგენილებებიდან და გა-დაწყვეტილებებიდან.

5. მათვე დაევალოთ:

ა) საგანგებოდ განიხილონ მოსწავლეთა XXIX რესპუბლიკური სპარტაკიადის შედეგები, განახორციელონ კომპლექსური ღონისძიებები ზოგადსაგანმანათლებლო, ბავშვთა-მოზარდთა სპორტული სკოლების მუშაობაში არსებულ სერიოზულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად.

ბ) განსაკუთრებული ყურადღება დაუთმონ კადრების პასუხისმგებლობის, იმ მუშაკებისადმი მომთხოვნელობის ამაღლებას, რომლებიც პასუხს აგებენ ფიზკულტურულ-სპორტული მოძრაობის შემდგომ განვითარებაზე. მკაცრად მოსთხოვონ პასუხი და პრინციპულად განიხილონ იმ ზოგადსაგანმანათლებლო, ბავშვთა-მოზარდთა სპორტული სკოლების დირექტორების პირადი პასუხისმგებლობის საკითხი, რომლებიც ვერ ართმევენ თავს დაკისრებულ მოვალეობას, ხასიათდებიან არაკომპეტენტურობით, ზედაპირულობით.

გ) მტკიცე წესრიგი დაამყარონ და გარდაქმნან მუშაობა იმ მოთხოვნათა შესაბამისად, რომელსაც ითვალისწინებს საქართველოს პარტიულ-სამეურნეო აქტივის 1977 წლის 2 ივლისის კრების, მასწავლებელთა IV ყრილობის გადაწყვეტილებები და განათლების სამინისტროს ბოლოდროინდელი ბრძანებები მოსწავლეთა ფიზიკური აღზრდისა და ბავშვთა სპორტის განვითარების ძირეული გაუმჯობესების შესახებ.

6. ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სამმართველომ (ამხ. რ. აიწურაძე) საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის სპორტული და თავდაცვითი მასობრივი მუშაობის განყოფილებასა (ამხ. თ ზურიკაშვილი) და საქართველოს სპორტკომიტეტის სპორტული და მეთოდური მუშაობის სამმართველოსთან (ამხ. დ. კაპცოვი) ერთად ა/წლის 1 დეკემბრამდე წარმოადგინოს წინადადებები ბავშვთა—მოზარდთა სასპორტო სკოლების დისლოკაციის მიზანშეწონილობისა და იმ სპორტული სკოლების ლიკვიდაციის შესახებ, რომლებსაც არ გააჩნიათ სათანადო მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, მწვრთნელთა კადრები, რომლებიც წლების განმავლობაში ვერ ამართლებენ თავის დანიშნულებას.

7. ა/წლის 1 დეკემბრამდე ჩატარდეს განათლების სამინისტროს აქტივის კრება მოსწავლეთა ფიზიკური აღზრდისა და ბავშვთა სპორ-

ტის განვითარების შესახებ, გამომდინარე რესპუბლიკის სპორტული ხა-მეურნეო აქტივის 1977 წლის 2 ივლისის კრებისა და საქართველოს მასწავლებელთა IV ყრილობის გადაწყვეტილებებიდან.

8. კონტროლი აღნიშნული დადგენილების შესრულებაზე დაევალოს განათლების სამინისტროს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სამმართველოს (ამხ. რ. აიწურაძე), საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის სპორტული და თავდაცვითი მასობრივი მუშაობის განყოფილებას (ამხ. თ. ზურიკაშვილი), საქართველოს სპორტკომიტეტის სამმართველოს (ამხ. ი. კაპცოვი).

საქართველოს სსრ განათლების მინისტრი **ო. ქინქლაძე**

საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივანი **ჟ. შარტავა**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარე **დ. პერტენავა**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დანართი № 1

# ინფორმაცია

## საქართველოს მოსწავლეთა XXIX სპარტაკიადის შედეგების შესახებ

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-60 წლისთავისადმი მიძღვნილმა საქართველოს მოსწავლეთა XXIX სპარტაკიადამ ერთგვარად გააუმჯობესა რესპუბლიკის მოსწავლეთა შორის მასობრივ-ფიზკულტურული მუშაობა და ხელი შეუწყო სპორტული რეზერვების გამოვლინებას.

სპარტაკიადა ჩატარდა სპორტის 26 სახეობაში (მძლეოსნობა, ტანვარჯიში, ცურვა, ფეხბურთი, კალათბურთი, ფრენბურთი, ხელბურთი, წყალში ხტომა, წყალბურთი, მშთ მრავალჭიდი, ტყვიის სროლა, ნიჩბოსნობა, აკადემიური, ბაიდარებითა და კანოე, მხატვრული ტანვარჯიში, აკრობატიკა, ბადმინტონი, თავისუფალი ჭიდაობა, კლასიკური ჭიდაობა, ჭიდაობა ძიუ-დო, ქართული ჭიდაობა, ფარიკაობა). სპარტაკიადის პროგრამაში პირველად იქნა შეტანილი მშთ მრავალჭიდი.

წინა სპარტაკიადებისაგან განსხვავებით, XXIX სპარტაკიადაში მონაწილეობა მიიღო რესპუბლიკის ყველა ქალაქმა და რაიონმა, რომელთა სპორტული კოლექტივები წლეულს პირველად გაერთიანდნენ ტრადიციების, სპეციფიკურობისა და შესაძლებლობების გათვალისწინებით (სულ 3 ჯგუფი). ცალკეული ჯგუფებისათვის შერჩეული იყო სავალდებულო სპორტის სახეობანი.

სპარტაკიადის პირველი და მეორე ეტაპი ჩატარდა ბავშვთა-სპორტული თამაშის „იმედის სტარტის“ პროგრამით, რომელშიც მონაწილეობდა 300000, ხოლო ზონალურ, ნახევარფინალურ და ფინალურ შეჯიბრებაში 10000-ზე მეტი მოსწავლე.

აფხაზეთის ასსრ-სა და აჭარის ასსრ განათლების სამინისტროებმა, ქ. ქ. თბილისის, ქუთაისის, რუსთავის, გორის, ფოთის და ხაშურის, თელავის, ახმეტის, რაიონების განათლების განყოფილებებმა, კომკავშირული და ფიზკულტურული ორგანიზაციების დახმარებით,

უზრუნველყვეს სპარტაკიადის ფინალური შეჯიბრებების მაღალორგანიზებულ დონეზე ჩატარება.

სპარტაკიადის მონაწილეებისათვის სისტემატურად ეწყობოდა კულტურულ-მასობრივი ღონისძიებანი. სპორტსმენებისათვის დამზადდა სამახსოვრო სამკერდე ნიშნები, სხვადასხვა თვალსაჩინოებანი, შესაბამისი მედლები პრიზიორებისათვის, დაწესებული იყო წამახალისებელი და სხვა ჯილდოები.

სპარტაკიადის მიმდინარეობის დროს შესრულდა 30 სპორტის ოსტატის, 22 სპორტის ოსტატობის კანდიდატის, 14 პირველი 177 მეორე, 295 მესამე და ჭაბუკთა თანრიგის ნორმატივი.

რესპუბლიკური სპარტაკიადის ფინალურ შეჯიბრებაზე I-ჯგუფის კოლექტივებს შორის კომპლექსურ ჩათვლაში 518 ქულით პირველი ადგილი დაიკავა თბილისის მოსწავლეთა ნაკრებმა, 435 ქულით მეორე ადგილი წილად ხვდა ქუთაისის, ხოლო 429 ქულით მესამე—აჭარის ასსრ-ს კოლექტივს, მეოთხე აფხაზეთის—ასსრ (423). მეხუთე—რუსთავის (342), მეექვსე—სამხრეთ ოსეთის ა/ოლქის (223) მოსწავლეთა სპორტულ კოლექტივს.

II—ჯგუფში, 249 ქულით პირველი ადგილი წილად ხვდა ქ. გორის მოსწავლეთა კოლექტივს, მეორე—ფოთის (219), მესამე—გარდაბნის (192), მეოთხე—ჭიათურის (187), მეხუთე—მცხეთის (187), 172 ქულით მეექვსე ადგილი—ზესტაფონის რაიონის სპორტულ კოლექტივს (შედეგები ერთვის).

III—ჯგუფში—კომპლექსურ ჩათვლაში 121 ქულით პირველ ადგილზეა მაიაკოვსკის, მეორე—კასპის (114), მესამე—ახალციხის (111), მეოთხე—ონის (98), მეხუთე—აბაშის (96), მეექვსეზე—ქარელის (95), რაიონის ნაკრები კოლექტივები (შედეგები თან ერთვის).

სპარტაკიადის დებულების თანახმად მეორე ჯგუფში გამარჯვებულმა გორის კოლექტივმა პირველ ჯგუფში დაიმკვიდრა ადგილი. განსაკუთრებულ წარმატებებს მიაღწიეს მაიაკოვსკისა და კასპის რაიონების ნორჩმა სპორტსმენებმა, რომლებმაც მოიპოვეს მეორე ჯგუფში ახპარეზობის უფლება.

სპორტის ცალკეულ სახეობაში აღსანიშნავია ქ. ქუთაისის (კრივი, ჭიდაობა ძიუ-დო, ჭადრაკი), აჭარის ასსრ (მშთ მრავალჭიდი, ნიჩბოსნობა ბაიდარი და კანოე, გოგონები), აფხაზეთის ასსრ (ველოსპორტი), ქ. გორის (ქართული ჭიდაობა), კასპის რაიონის (თავისუფალი ჭიდაობა), მოსწავლეთა ნაკრები გუნდების წარმატება, რომლებმაც სპარტაკიადის ჩემპიონობა და ოქროს მედლები დაიმსახურეს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

წინა სპარტაკიადასთან შედარებით საგრძნობლად გააუმჯობესეს შედეგები ქ. ფოთის, გარდაბნის, ქ. ჭიათურის, (II ჯგუფი) ახალციხის, ონის, აბაშის, (III ზონა) რაიონების მოსწავლეთა ნაკრებმა გუნდებმა.

გარკვეულ წარმატებებთან ერთად სპარტაკიადის შედეგების ანალიზი ცხადყოფს, რომ სახალხო განათლების ორგანოები, კომკავშირულ და ფიზკულტურულ ორგანიზაციებთან ერთად სათანადო ყურადღებას არ უთმობენ ზოგადსაგანმანათლებლო და ბავშვთა-მოზარდთა სასპორტო სკოლებში ფიზკულტურულ-სპორტული მუშაობის გაუმჯობესების საკითხებს. არადამაკმაყოფილებლად ხელმძღვანელობენ და უძღვებიან ამ დიდმნიშვნელოვან საქმეს, მათ მუშაობაში კვლავ შეინიშნება ფორმალიზმი და ინერტულობა, არაპრინციპულობა და უპასუხისმგებლობა. ბავშვთა სპორტის განვითარებაში არსებულ სერიოზულ ნაკლოვანებებზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ სპარტაკიადაში მონაწილე მოსწავლე-სპორტსმენთა 50 პროცენტმა ვერ შეასრულა სპარტაკიადის დებულებით გათვალისწინებული არც თუ მაღალი სათანრიგო ნორმატივები.

არადამაკმაყოფილებელი შედეგებია ფრენბურთში, ხელბურთში, აკადემიურ და საბაიდრო ნიჩბოსნობაში, კრივში, მხატვრულ ტანვარჯიშში. ველოსპორტსა და წყალბურთში.

განსაკუთრებით სავალალო მდგომარეობაა სპორტის ისეთ წამყვან სახეობებში, როგორიცაა ცურვა, მძლეოსნობა, ტანვარჯიში.

მძლეოსნობაში სპარტაკიადაზე მოასპარეზე 350 მოსწავლიდან ვერც ერთმა ვერ შეასრულა ოსტატის, ოსტატობის კანდიდატის და პირველი თანრიგის ნორმატივი, ხოლო 50 მოსწავლემ ვერც ერთი სათანრიგო ნორმატივი.

მიუხედავად სავალდებულო ხასიათისა, მძლეოსნობაში მონაწილეობა არ მიუღიათ ტყიბულის, ყვარლის, ორჯონიკიძის, სიღნაღის, ბოგდანოვკის, ადიგენის, ბოლნისის, გურჯაანის, დმანისის, ლაგოდეხის, ლენტეხის, მესტიის, საგარეჯოს, თეთრიწყაროს, ცაგერისა და წალენჯიხის რაიონებს; ხოლო ამბროლაურის, ასპინძის, ახალქალაქის, ხობისა და ჩხოროწყუს რაიონების გუნდებმა კომპლექსურ ჩათვლაში ვერც ერთი ქულა ვერ მოიპოვეს ტანვარჯიშში.

უკანასკნელი ხუთი წლის განმავლობაში საქართველოს მოსწავლეთა ნაკრებს (ქ. თბილისის გარდა) რესპუბლიკის არც ერთი ქალაქიდან და რაიონიდან არ მიუღია შევსება.

ანალოგიური მდგომარეობაა ცურვაში,მოსწავლეთა ნაკრები

გუნდის 50% ვერ ასრულებს სპორტის ოსტატის კანდიდატის სავალდებულო ნორმატივს.

ბიბლიოთეკა

მძლეოსნობის, ცურვის, ტანვარჯიშის განვითარებისათვის განსაკუთრებით არადამაკმაყოფილებლად წარმოებს მუშაობა აფხაზეთისა და აჭარის ა/რესპუბლიკებში, სამხრეთ ოსეთის ა/ოლქში, ქ. ქ. თბილისის, ქუთაისის, გორის, ტყიბულის, ზუგდიდის, ჭიათურის მოსწავლეთა შორის, რომლებმაც საგრძნობლად დათმეს პოზიციები.

სპარტაკიადის კომპლექსურ ჩათვლაში საერთო გამარჯვების მიუხედავად, ქ. თბილისის მოსწავლეთა სპორტულმა კოლექტივებმა წარუმატებლად იასპარეზეს მშთ მრავალჭიდში, ყველა სახის ნიჩბოსნობაში, კრივში, ველოსპორტში, ჭიდაობა ძიუ-დოში, ხოლო ქართულ ჭიდაობაში საერთოდ არ მიიღეს მონაწილეობა, სამხრეთ ოსეთის ა/ოლქის ნეკრებმა გუნდმა პირველ ჯგუფში ბოლო ადგილი დაიკავა და მეორე ჯგუფში გადაინაცვლა. ამავე დროს მონაწილეობა არ მიიღეს სპორტის ისეთ მნიშვნელოვან სახეობებში, როგორიცაა მშთ მრავალჭიდი, ცურვა, მხატვრული ტანვარჯიში, ველოსპორტი, ტყვიით სროლა, ჩოგბურთი, ბადმინტონი და სხვა.

წინასწარი თანხმობის მიუხედავად, ზონალურ ასპარეზობაში მონაწილეობას თავი აარიდეს:

კლასიკურ ჭიდაობაში—წულუკიძის, თავისუფალ ჭიდაობაში—ადიგენის, ახალქალაქის, გეგეჭკორის, ზუგდიდის, ლენტეხისა და ლაგოდეხის რაიონებმა.

ძიუდოში—ამბროლაურის, ლაგოდეხის, ახმეტის, წ/წყაროს, გურჯაანის, საგარეჯოს, ახალქალაქის, ადიგენის, ბორჯომის, ვანის, მესტიისა და დუშეთის რაიონებმა.

მაგიდის ჩოგბურთში—გურჯაანისა და თერჯოლის რაიონებმა.

კალათბურთში (გოგონები და ჭაბუკები)—თერჯოლის, ახალქალაქისა და ხობის; ჭაბუკებში—ვანის, გეგეჭკორის, ცაგერისა და ბოლნისის რაიონებმა.

ფრენბურთში (გოგონები)—გეგეჭკორის, ადიგენისა და ლენტეხის, ჭაბუკებში—საგარეჯოს, გეგეჭკორის, ზუგდიდის თიანეთისა და ბოგდანოვკის რაიონებმა.

ხელბურთში—ბორჯომის (გოგონები და ჭაბუკები), ქარელისა და ჩხოროწყუს (ჭაბუკები) რაიონებმა.

სუსტად მომზადებული გუნდები გამოიყვანეს და არადამაკმაყოფილებელი შედეგები აჩვენეს:

ეროვნული ბიბლიოთეკა

კლასიკურ ჭიდაობაში—სიღნაღის, ზესტაფონის, ადიგენისა და წალკის რაიონებმა;

თავისუფალ ჭიდაობაში—ქ. ზუგდიდის, ზესტაფონის, მახარაძის, თიანეთის, გარდაბნის, მესტიისა და ახმეტის რაიონებმა.

ჭადრაკში—აბაშის, თ/წყაროს, ყაზბეგის, წალენჯიხის, წულუკიძის, ბოლნისისა და თიანეთის რაიონებმა;

მაგიდის ჩოგბურთში—ახალქალაქის, საგარეჯოს, ასპინძის, ზესტაფონის, დუშეთისა და ყვარლის რაიონებმა;

კალათბურთში — (გოგონები) ბორჯომის, ადიგენის, ახმეტის, თ/წყაროს, ასპინძის, წ/წყაროს, დუშეთისა და წყალტუბოს რაიონებმა;

ჭაბუკებში—ჩხოროწყუს, მარნეულის, თ/წყაროს, საგარეჯოს, მახარაძისა და ყვარლის რაიონებმა;

ფრენბურთში—(გოგონები) ზუგდიდის, ბორჯომის, ადიგენის, ახმეტის, თ/წყაროს, ასპინძის. წ/წყაროს, დუშეთის და წყალტუბოს რაიონებმა;

—(ჭაბუკები) ბოლნისის, ლაგოდეხის, თერჯოლის, ახალციხის, მაიაკოვსკის, დუშეთის, სიღნაღისა და საჩხერის რაიონებმა;

ხელბურთში—(გოგონები) ლენტეხისა და სამტრედიის რაიონებმა;

—(ჭაბუკები) წალენჯიხისა და ხაშურის რაიონებმა;

მშპ მრავალჭიდში—ზესტაფონის, სიღნაღის, თელავის, გორის, ორჯონიკიძის, ხაშურის, ცხაკაიას, ტყიბულის, (II ზონა) წალენჯიხის, ხობის, გეგეჭკორის, ახმეტის, ჩხოროწყუს (III ზონა) რაიონების ნაკრებმა გუნდებმა. ამავე სახეობაში მონაწილეობას თავი აარიდეს წყალტუბოს, დუშეთის, ყვარლის, სამტრედიის (III ზონა), ადიგენის, ამბროლაურის, ბოგდანოვკის, ახალქალაქის, ბოლნისის, გურჯაანის, დმანისის, ყაზბეგის, ლაგოდეხის მესტიისა და საგარეჯოს (III ზონა) რაიონების სპორტულმა კოლექტივებმა;

მძლეოსნობაში—მიუხედავად სავალდებულო სახეობისა მონაწილეობა არ მიუღიათ: ტყიბულის, ყვარლის, ორჯონიკიძის, სიღნაღის (II ზონა), ადიგენის. ბოგდანოვკის, ბოლნისის, გურჯაანის, დმანისის, ლაგოდეხის, ლენტეხის, მესტიის, საგარეჯოს, თ/წყაროს, ცაგერისა და წალენჯიხის (III ზონა) რაიონებს.

უაღრესად არადამაკმაყოფილებელი შედეგები აჩვენეს: ქ. ზუგდიდის, საჩხერის, თელავის, დუშეთის, გორის, ცხაკაიას, ზუგდიდის (II ზონა) ახალქალაქის, ამბროლაურის ასპინძის, ჩხოროწყუს (III ზონა) რაიონებმა.

სპარტაკიადის შედეგების მიხედვით უაღრესად დაბალი შედეგები აჩვენეს ბოგდანოვკის, საგარეჯოს, გეგეჭკორის, ყაზბეგის, ახალქალაქის, წალენჯიხის, მესტიის, სიღნაღის, დუშეთის, გორის, ორჯონიკიძის, საჩხერის რაიონების, ქ. ზუგდიდის სპორტულმა კოლექტივებმა.

სპარტაკიადის ფინალურ შეჯიბრებაზე ზოგიერთი ქალაქის ნაკრები გუნდის წარმომადგენლებად, მსაჯებად, მწვრთნელებად გამოგზავნილი იქნენ ისეთი პიროვნებები, რომლებიც ვერ ერკვეოდნენ შეჯიბრების ელემენტარულ საკითხებში, ამჟღავნებდნენ თავშეუკავებლობას ქ. გორის მწვრთნელი სპორტულ ტანვარჯიშში გ. კობერიძე, აჭარის ა/რესპუბლიკიდან მწვრთნელი ფრენბურთში ვ. აკუჭბა და სხვები).

ქ. სოხუმში ტყვიით სროლაში ფინალური შეჯიბრების მიმდინარეობის დროს ქ. თბილისის მწვრთვნელ-წარმომადგენლებმა ი. ხუციშვილმა და რ. ანანიკიანმა უხეშად დაარღვიეს უსაფრთხოების წესები, დატოვეს მოსწავლე-სპორტსმენები უზედამხედველოდ, რის შედეგადაც ერთ-ერთი მათგანი მსუბუქად დაიჭრა.

**განათლების სამინისტროს ბავშვთა-მოზარდთა უმაღლესი**
**სპორტული დაოსტატების რესპ. სკოლა**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დ ა ნ ა რ თ ი № 2

**საქართველოს სსრ მოსწავლეთა XXIX რესპუბლიკურ სპარტაკიადაში საერთო გუნდურ ჩათვლაში გამარჯვებული სპორტული კოლექტივების სია, რომლებიც ჯილდოვდებიან სამინისტროს თასებით და შესაბამისი ხარისხის დიპლომებით**

I—ჯ გ უ ფ შ ი

—ქ. თბილისის მოსწავლეთა ნაკრები გუნდი, საერთო გუნდური პირველი ადგილის დაკავებისათვის.

—ქ. ქუთაისის მოსწავლეთა ნაკრები გუნდი, საერთო გუნდური მეორე ადგილის დაკავებისათვის.

—აჭარის ასსრ მოსწავლეთა ნაკრები ხუნდი, საერთო გუნდური მესამე ადგილის დაკავებისათვის.

II—ჯ გ უ ფ შ ი

—ქ. გორის მოსწავლეთა ნაკრები გუნდი, საერთო გუნდური გუნდური პირველი ადგილის დაკავებისათვის.

—ქ. ფოთის მოსწავლეთა ნაკრები გუნდი, საერთო გუნდური მეორე ადგილის დაკავებისათვის.

—გარდაბნის რაიონის მოსწავლეთა ნაკრები გუნდი, საერთო გუნდური მესამე ადგილის დაკავებისათვის.

III—ჯ გ უ ფ შ ი

—მაიაკოვსკის რაიონის მოსწავლეთა ნაკრები გუნდი, საერთო პირველი ადგილის დაკავებისათვის.

—კასპის რაიონის მოსწავლეთა ნაკრები გუნდი, საერთო გუნდური მეორე ადგილის დაკავებისათვის.

—ახალციხის რაიონის მოსწავლეთა ნაკრები გუნდი, საერთო გუნდური მესამე ადგილის დაკავებისათვის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დ ა ნ ა რ თ ი № 3

**საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სიგელითა და ფასიანი საჩუქრებით დაჯილდოებულთა**

## ს ი ა

1. მ. ტულუში—სპარტაკიადის მთავარი მსაჯი
2. ა. მანჯგალაძე—სპარტაკიადის მთავარი მდივანი
3. გ. ჯანელიძე—მთავარი მსაჯის მოადგილე
4. გ. მერკვილაძე—მთავარი მსაჯის მოადგილე
5. ზ. ჩხობაძე—მთავარი მსაჯის მოადგილე
6. ქ. არობელიძე—მთავარი მსაჯის მოადგილე
7. ლ. ორდინიანი—სამანდატო კომისიის თავმჯდომარე
8. თ. მგელაძე—სამანდატო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე
9. თ. კოლონია—აფხაზეთის ასსრ განათლების მინისტრი
10. ვ. წულუკიძე—აჭარის ასსრ განათლების მინისტრი
11. ლ. ჩიქვანაია—ქ. თბილისის განათლების განყ. გამგე
12. ბ. ფრუიძე—ქ. ქუთაისის განათლების განყ. გამგე
13. დ. კვირიკაძე—მაიაკოვსკის რ-ნის განათლების განყ. გამგე
14. ო. მესხიძე—ახალციხის რ-ნის განათლების განყ. გამგე
15. ო. კლიმიაშვილი—ქ. გორის განათლების განყ. გამგე
16. გ. ქვრივიშვილი—გარდაბნის რ-ნის განათლების ვანყ. გამგე
17. გ. ხოჭოლავა—ქ. ფოთის განათლების გან. გამგე
18. დ. ნაროზაული—ახმეტის რ-ნის განათლების განყ. გამგე
19. ა. თვალიაშვილი—თელავის რ-ნის განათლების განყ. გამგე
20. მ. ტულუში—უფროსი მსაჯი მძლეოსნობაში
21. გ. ბაბილოძე—უფროსი მსაჯი სპორტულ ტანვარჯიშში
22. გ. ავალიშვილი—უფროსი მსაჯი კალათბურთში
23. ვ. გოლოვანოვი—მსაჯი კალათბურთში
24. რ. გელოვანი—მსაჯი კალათბურთში
25. ზ. ჩაჩავა—უფროსი მსაჯი წყალბურთში

ეროვნული ბიბლიოთეკა

26. ნ. ქობალია—უფროსი მსაჯი ჩოგბურთში
27. დ. გვანცელაძე—უფროსი მსაჯი კლ. ჭიდაობაში
28. ო. ქიბროწაშვილი—უფროსი მსაჯი ძიუ-დოში
29. ქ. ნინიაშვილი—უფროსი მსაჯი ქართულ ჭიდაობაში
30. ნ. ასათიანი—უფროსი მსაჯი ფარიკაობაში
31. დ. გოგოლაძე—ახალციხის რაიონის ბავშვთა-მოზარდთა სასპორტო სკოლის დირექტორი
32. ნ. ცინცაძე—მაიაკოვსკის რ-ნის ბავშვთა-მოზარდთა სასპორტო სკოლის დირექტორი
33. რ. ტყემალაძე—კასპის რ-ნის ბავშვთა-მოზარდთა სასპორტო სკოლის დირექტორი
34. ჩ. ჩოგოვაძე—ქ. ქუთაისის განათლების განყ. ინსპექტორი
35. შ. პატარაია—აჭარის ასსრ ფიზიკური აღზრდისა და სპორტის განყოფილების გამგე
36. კ. ხუციშვილი—ქ. გორის ბავშვთა-მოზარდთა სასპორტო სკოლის დირექტორი

F 4528

37. ო. გურულიშვილი—გარდაბნის რ-ნის ბავშვთა-მოზარდთა სასპორტო სკოლის დირექტორი
38. ჯ. მეფისაშვილი—უფროსი მსაჯი ველოსპორტში
39. ლ. ლავრენტიევა—უფროსი მსაჯი მხატვრულ ტანვარჯიშში
40. გ. გოლაშვილი—უფროსი მსაჯი მავიდის ჩოგბურთში
41. გ. მამულიშვილი—უფროსი მსაჯი ნიჩბოსნობაში
42. ვ. ხუბულავა—აფხაზეთის ასსრ განათლების სამინისტროს ფიზ. აღზრდისა და სპორტის განყ. გამგე
43. კ. სერგია—ქ. ფოთის განათლების განყ. ინსპექტორი
44. ო. ასათიანი—ქ. ბათუმის კომპლექსური სპორტული სკოლის დირექტორი
45. ს. ქარჩავა—აჭარის ასსრ მასწავლებელთა დახელოვნების მეთოდკაბინეტის გამგე
46. გ. მაისურაძე—თელავის ბავშვთა სპორტული სკოლის დირექტორი
47. ვ. მესტვირიშვილი — სპორტული სკოლა - ინტერნატის მწვრთნელი
48. თ. ტუხაშვილი— ქ. თბილისის ნაკრები გუნდის მწვრთნელი კლ. ჭიდაობაში
49. ვ. ალიუშინი—ქ. სოხუმის ნაკრები გუნდის მწვრთნელი ველოსპორტში

კ. მარქსის სახ. საქ. სსრ სახელმწიფო რესპუბლიკ.

50. ლ. იგითხანაშვილი—გლდანის სკოლა-ინტერნატის მწვრთნელი სპორტულ ტანვარჯიშში

51. რ. ჭანტურია—ქ. თბილისის ნაკრები გუნდის მწვრთნელი ხელბურთში

52. ო. შაქარაშვილი—ქ. თბილისის ნაკრები გუნდის მწვრთნელი ხელბურთში

53. შ. მელაძე—ქ. გორის მოსწავლეთა ნაკრები გუნდის მწვრთნელი ძიუ-დოში

54. რ. ხანიშვილი—ქ. გორის ნაკრები გუნდის მწვრთნელი ქართულ ჭიდაობაში

55. ბ. კანდელაკი—ვ. ი. ლენინის სახელობის სპორტდარბაზის დირექტორი

56. ვ. ალთუნაშვილი—შტაბის უფროსის მოადგილე.

57. თ. კობიძე—ავტოტრანსპორტზე პასუხისმგებელი

58. გ. მურადოვი—ქ. თბილისის 51-ე საშ. სკოლის ფიზ. აღზრდის მასწავლებელი

59. ს. ქობალავა—ქ. თბილისის 114-ე საშ. სკოლის ფიზ. აღზრდის მასწავლებელი.

60. ს. შატვეროვი—ქ. თბილისის 94-ე საშ. სკოლის ფიზ. აღზრდის მასწავლებელი

61. გ. დონბრუგოვი—ქ. თბილისის ოქტომბრის რაიონის სპორტსკოლის თანამშრომელი

62. ნ. ოდიშელიძე—ქ. თბილისის ტაქსმოტორების № 2 სატრანსპორტო კანტორის მძღოლი

63. გ. შავიშვილი—ქ. თბილისის ტაქსომოტორების № 2 სატრანსპორტო კანტორის მძღოლი

64. დ. ნაცვლიშვილი—ქ. თბილისის ტაქსომოტორების № 2 სატრანსპორტო კანტორის მძღოლი

65. ლ. ვართანოვი—ქ. თბილისის ტაქსომოტორების № 2 სატრანსპორტო კანტორის მძღოლი

66. გ. ალიხანოვი—ქ. თბილისის № 1 სამგზავრო-სატრანსპორტო კანტორის მძღოლი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## საქართველოს მოსწავლეთა XXIX რესპუბლიკური სპარტაკიადის გუნდური ადგილები

### კლასიკური ჭიდაობა

#### I—ჯგუფი

1. თბილისი
2. ქუთაისი
3. აჭარის ასსრ
4. აფხაზეთის ასსრ
5. რუსთავი
6. ს/ოსეთი

#### II—ჯგუფი

1. მახარაძე
2. ცხაკაია
3. გარდაბანი
4. ყვარელი
5. ჭიათურა
6. სამტრედია
7. ხაშური
8. წყალტუბო
9. ზესტაფონი
10. სიღნაღი
11 ორჯონიკიძე

#### III—ჯგუფი

1. მაიაკოვსკი
2. თერჯოლა
3. ბორჯომი
4. დმანისი
5. ვანი
6. ლანჩხუთი
7. ონი
8. ხობი
9. გეგეჭკორი
10. აბაშა
11. წ/წყარო
12. ბოლნისი
13. ადიგენი
14. წალკა

### მხატვრული ტანვარჯიში

1. თბილისი
2. აფხაზეთის ასსრ
3. აჭარის ასსრ
4. ქუთაისი
5. რუსთავი

### თავისუფალი ჭიდაობა

#### I—ჯგუფი

1. თბილისი
2. აფხაზეთის ასსრ
3. აჭარის ასსრ
4. ქუთაისი
5. რუსთავი
6. ს/ოსეთის ა/ო

ეროვნული ბიბლიოთეკა

### II—ჯგუფი

| | | |
|---|---|---|
| 1. მცხეთა | 2. გორი | 3. ჭიათურა |
| 4. ყვარელი | 5. ორჯონიკიძე | 6. ხაშური |
| 7. საჩხერე | 8. გორის რ-ნი | 9. სამტრედია |
| 10. გარდაბანი | 11. წყალტუბო | 12. თელავი |
| 13. ტყიბული | 14. მახარაძე | 15. ზესტაფონი |
| 16. ზუგდიდი | | |

### III—ჯგუფი

| | | |
|---|---|---|
| 1. კასპი | 2. მაიაკოვსკი | 3. ამბროლაური |
| 4. წ/წყარო | 5. წულუკიძე | 6. ბოლნისი |
| 7. ყაზბეგი | 8. დმანისი | 9. საგარეჯო |
| 10. ონი | 11. თერჯოლა | 12. ლანჩხუთი |
| 13. ქარელი | 14. წალკა | 15. ვანი |
| 16. მარნეული | 17. ახმეტა | 18. მესტია |
| 19. გურჯაანი | 20. თიანეთი | |

## მძლეოსნობა

### I—ჯგუფი

| | | |
|---|---|---|
| 1. თბილისი | 2. აფხაზეთის ასსრ | 3. აჭარის ასსრ |
| 4. ქუთაისი | 5. ს/ოსეთის ა/ო | 6. რუსთავი |

### II—ჯგუფი

| | | |
|---|---|---|
| 1. წყალტუბო | 2. ფოთი | 3. რუსთავი (I ჯგ.) |
| 4. გარდაბანი | 5. ჭიათურა | 6. ახმეტა (III ჯგ.) |
| 7. მცხეთა | 8. გორი | 9. სამტრედია |
| 10. ხაშური | 11. ზესტაფონი | 12. ცხაკაია |
| 13. გორის რ-ნი | 14. დუშეთი | 15. თელავი |
| 16. სახჩერე | 17. ზუგდიდი | 18. ორჯონიკიძე |

### III—ჯგუფი

| | | |
|---|---|---|
| 1. ონი | 2. ახალციხე | 3. წ/წყარო |
| 4. მაიაკოვსკი | 5. გეგეჭკორი | 6. ქარელი |
| 7. წალკა | 8. აბაშა | 9. თიანეთი |
| 10. ზუგდიდის რ-ნი | 11. ჩოხატაური | 12. წულუკიძე |
| 13. ყაზბეგი | 14. ვანი | 15. ბორჯომი |

16. კასპი
— თერჯოლა
— ხობი

17. ლანჩხუთი
— ჩხოროწყუ
— ამბროლაური

18. მარნეული
— ასპინძა
— ახალქალაქი

## ტყვიით სროლა

1. თბილისი
2. აფხაზეთის ასსრ
3. ქუთაისი
4. აჭარის ასსრ
5. ს/ოსეთის ა/ო
6. რუსთავი
7. გორი
8. ფოთი
9. ზესტაფონი

## ცურვა

### გოგონები

1. თბილისი
2. აჭარის ასსრ
3. ქუთაისი
4. რუსთავი
5. აფხაზეთის ასსრ

### ჭაბუკები

1. თბილისი
2. აჭარის ასსრ
3. ქუთაისი
4. რუსთავი
5. აფხაზეთის ასსრ
6. ტყიბული
7. ჭიათურა

## ძიუ-დო

### I—ჯგუფი

1. ქუთაისი
9-10. თბილისი
13-14. აჭარის ასსრ
28. რუსთავი
19. ს/ოსეთის ა/ო

### II—ჯგუფი

2. გორი
3. ორჯონიკიძე
4. გარდაბანი
7-8. გორის რ-ნი
7-8. ზესტაფონი
9-10. ცხაკაია
13-14. დუშეთი
15-16. თელავი
15-16. ტყიბული
20. ხაშური

### III—ჯგუფი

5. ქარელი
6. ლენტეხი
11-12. საგარეჯო
17. ახმეტა
11-12. მესტია
20. კასპი
21. თიანეთი
22. თეთრიწყარო

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ფრენბურთი

## I—ჯგუფი

| გოგონები | ჭაბუკები |
| --- | --- |
| 1. თბილისი | 1. თბილისი |
| 2. აფხაზეთის ასსრ | 2. რუსთავი |
| 3. რუსთავი | 3. აფხაზეთის ასსრ |
| 4. გორი (II ჯგ.) | 4. აჭარის ასსრ |
| 5. ქუთაისი | 5. გარდაბნის (II ჯგ.) |
| 6. ს/ოსეთის ა/ო | 6. ქუთაისი |
| 7. აჭარის ასსრ | 7. ს/ოსეთის ა/ო |
| 8. ლაგოდეხი (III ჯგ.) | 8. ცაგერი (III ჯგ.) |

## II—ჯგუფი

| გოგონები | ჭაბუკები |
| --- | --- |
| 1. ლაგოდეხი (3-3 ჯგ. გადმოს.) | 1. გარდაბანი |
| 2. გორი | 2. ცაგერი (III ჯგ. გადმოს.) |
| 3. თელავი | 3. წყალტუბო |
| 4. ტყიბული | 4. სამტრედია |
| 5. წყალტუბო | 5. გორი |
| 6. გარდაბანი | 6. თელავი |
| 7. საჩხერე | 7. ტყიბული |
| 8. სიღნაღი | 8. ყვარელი |
| 9. მცხეთა | 9. ზესტაფონი |
| 10. ზესტაფონი | 10-12. დუშეთი |
| 11-12. ყვარელი | 10-12. სიღნაღი |
| 10-12. სამტრედია | 10-12 საჩხერე |

## III—ჯგუფი

| გოგონები | ჭაბუკები |
| --- | --- |
| 1. ლაგოდეხი | 1. ცაგერი |
| 2. დმანისი | 2. მარნეული |
| 3. ხობი | 3. გურჯაანი |
| 4. თერჯოლა | 4. ახალქალაქი |
| 5. ახალციხე | 5. აბაშა |
| 6. მარნეული | 6. ბორჯომი |
| 7. ცაგერი | 7. ლენტეხი |

ეროვნული ბიბლიოთეკა

8. ახალქალაქი
9. ჩხოროწყუ
10. ოიანეთი
11. თეთრიწყარო
12. ვანი
13. ასპინძა
14-15. ზუგდიდის რ-ნი
14-15. ბორჯომი
16-18. ბოლნისი
16-18. კასპი
19-18. მაიაკოვსკი

8. ხობი
9. თეთრიწყარო
10. ადიგენი
11. დმანისი
12. ვანი
13. კასპი
14. ასპინძა
15. ჩხოროწყუ
16-20. ბოლნისი
16-20. ლაგოდეხი
16-20. თერჯოლა
16-30. ახალციხე
16-20. მაიაკოვსკი

## მშთ მრავალჭიდი

### I—ჯგუფი

1. აჭარის ასსრ
2. თბილისი
3. ქუთაისი
4. აფხაზეთის ასსრ
5. რუსთავი

### II—ჯგუფი

1. ჭიათურა
2. გორი
3. ფოთი
4. ზუგდიდი
5. მცხეთა
6. საჩხერე
7. გარდაბანი
8. მახარაძე
9. ტყიბული
10. ცხაკაია
11. ხაშური
12. ორჯონიკიძე
13. გორის რ-ნი
14. თელავი
15. სიღნაღი
16. ზესტაფონი

### III—ჯგუფი

1. მაიაკოვსკი
2. მარნეული
3. კასპი
4. ზუგდიდის რ-ნი
5. ზუგდიდის რ-ნი
6. ვანი
7. ასპინძა
8. თერჯოლა
9. წალკა
10. წ/წყარო
11. წულუკიძე
12. ბორჯომი
13. ახალციხე
14. ლანჩხუთი
15. ჩოხატაური
16. აბაშა
17. ონი
18. თიანეთი
19. თ/წყარო
20. ცაგერი
21. ჩხოროწყუ
22. ახმეტა
23. გეგეჭკორი
24. ხობი
25. წალენჯიხა

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ქართული ჭიდაობა

## I—ჯგუფი

| | | |
|---|---|---|
| 2. აჭარის ასს | 7-8. ქუთაისი | 23. ს/ოსეთის ა/ო |

## II—ჯგუფი

| | | |
|---|---|---|
| 1. გორი | 3. ზესტაფონი | 5. ყვარელი |
| 7-8. გორის რ-ნი | 11-12. გარდაბანი | 13-14. თელავი |
| 15-16. ხაშური | 20. დუშეთი | 22. მცხეთა |
| 27. სიღნაღი | | |

## III—ჯგუფი

| | | |
|---|---|---|
| 4. კასპი | 6. ონი | 9-10. ამბროლაური |
| 9-10. ქარელი | 13-14. თერჯოლა | 15-16. ლანჩხუთი |
| 17-18. ლენტეხი | 17-18. გურჯაანი | 19. ლაგოდეხი |
| 21. ახმეტა | 24. დმანისი | 25. საგარეჯო |
| 26. თიანეთი | | |

## კრივი

| | | |
|---|---|---|
| 1. ქუთაისი | 2. თბილისი | 3. აჭარის ასსრ |
| 4. აფხაზეთის ასსრ | 5. ფოთი | 6. რუსთავი |
| 7. ჭიათურა | 8. ს/ოსეთის ა/ო | 9. მესტია |
| 10. ახალციხე | 11. ტყიბული | 12. სამტრედია |

## აკრობატიკა

| | | |
|---|---|---|
| 1. თბილისი | 2. რუსთავი | 3. აფხაზეთის ასსრ |
| 4. აჭარის ასსრ | 5. ქუთაისი | 6. ს/ოსეთის ა/ო |

## ბაიდარკითა და კანოეთი ნიჩბოსნობა

### გოგონები

1. აჭარის ასსრ
2. აფხაზეთის ასსრ
3. მცხეთა
4. თბილისი
5. ფოთი

### ვაჟები

1. მცხეთა
2. თბილისი
3. აჭარის ასსრ
4. აფხაზეთის ასსრ
5. რუსთავი
6. ქუთაისი
7. ფოთი
8. დუშეთი

ეროვნული ბიბლიოთეკა

## აკადემიური ნიჩბოსნობა

1. თბილისი
2. ფოთი
3. ქუთაისი
4. აფხაზეთის ასსრ
5. მცხეთა
6. აჭარის ასსრ
7. რუსთავი

## წყალბურთი

1. თბილისი
2. ქუთაისი
2. აჭარის ასსრ
4. აფხაზეთის ასსრ

## ფარიკაობა

### ჭაბუკები

1. თბილისი
2. ქუთაისი
3. აფხაზეთის ასსრ
4. რუსთავი
5. ზესტაფონი
6. წყალტუბო
7. ს/ოსეთის ა/ო
8. აჭარის ასსრ
9. ტყიბული
10. თელავი
11. ჭიათურა

### გოგონები

1. თბილისი
2. ქუთაისი
3. რუსთავი
4. აჭარის ასსრ
5. აფხაზეთის ასსრ
6. ზესტაფონი
7. ტყიბული
8. ჭიათურა
9. ს/ოსეთას ა/ო

## ჩოგბურთი

1. თბილისი
2. გარდაბანი
3. აფხაწეთის ასსრ
4. ქუთაისი
5. აჭარის ასსრ
6. რუსთავი
7. № 2 სპორტ. სკოლა-ინტერნატი

## წყალში ხტომა

### გოგონები

1. თბილისი
2. აფხაზეთის ასსრ
3. ქუთაისი
4. აჭარის ასსრ

### ჭაბუკები

1. თბილისი
2. აფხაზეთი
3. კუთაისი
4. აჭარის ასსრ
5. რუსთავი

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ველო-სპორტი

### I—ჯგუფი

| | | |
|---|---|---|
| 1. აფხაზეთის ასსრ | 2. ქუთაისი | 3. რუსთავი |
| 4. აჭარის ასსრ | 5. თბილისი | 6. № 1 სპ. სკოლა-ინტერნატი |

### II-III—ჯგუფი

| | | |
|---|---|---|
| 1. ზესტაფონი | 2. მცხეთა | 3. ლაგოდეხი |
| 4. ზუგდიდის რ-ნი | 5. ყაზბეგი | 6. ზუგდიდი |
| 7. ჭიათურა | 8. გორი | 9. ბოლნისი |

## ჭადრაკი

### I—ჯგუფი

| | | |
|---|---|---|
| 1. ქუთაისი | 2. თბილისი | 3. გორი (II ჯგუფ.) |
| 4. აფხაზეთის ასსრ | 5. ცხაკაია (II ჯგუფ.) | 6. რუსთავი |
| 7. ზუგდიდი (II ჯგუფიდან) | 8. აჭარის ასსრ | |

### II—ჯგუფი

| | | |
|---|---|---|
| 1. გორი | 2. ცხაკაია | 3. ზუგდიდი |
| 4. მცხეთა | 5. ტყიბული | 6. ხაშური |
| 7. ფოთი | 8. სამტრედია | 9. თელავი |
| 10-12. ყვარელი | 10-12. მახარაძე | 10-12. საჩხერე |
| 13-14. სიღნაღი | 13-14. გარდაბანი | 15. ზესტაფონი |
| 16. ორჯონიკიძე | 17. წყალტუბო | |

### III—ჯგუფი

| | | |
|---|---|---|
| 1. ონი | 2. წალკა | 3-5. დმანისი |
| 3-6. ცაგერი | 3-6. ახალციხე | 3-6. ხობი |
| 7-12. ჩოხატაური | 7-12. კასპი | 7-12. მაიაკოვსკი |
| 7-12. ასპინძა | 7-12. თერჯოლა | 13-18. ლანჩხუთი |
| 13-18. მარნეული | 13-18. ქარელი | 13-18. ლენტეხი |
| 13-18. ბოგდანოვკა | 13-18. გეგეჭკორი | 19-22. აბაშა |
| 19-22. თ/წყარო | 19-22. ყაზბეგი | 19-22. წალენჯიხა |
| 23-26. წულუკიძე | 23-25. ბოლნისი | 23-25. თიანეთი |

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ფეხბურთი

### I—ჯგუფი

1. თბილისი 2. აფხაზეთის ასსრ 3. ქუთაისი
4. ფოთი (II ჯგ.) 5. რუსთავი 6. ს/ოსეთის ა/ო
7. მახარაძე (II ჯგ.) 8. აჭარის ასსრ

### II—ჯგუფი

1. მახარაძე 2. ფოთი 3. თელავი
4. გორი 5. ჩოხატაური (III ჯგ.) 6. ჭიათურა
7. მცხეთა 8. ზუგდიდი 9. ტყიბული
10. გარდაბანი 11. საჩხერე 12. ზესტაფონი
13. ორჯონიკიძე 14. სამტრედია 15. დუშეთი
16. ყვარელი 17-20. ცხაკაია 17-20. ხაშური
17-20. სიღნაღი 17-20. წყალტუბო.

### III—ჯგუფი

1. ჩოხატაური 2. მაიაკოვსკი 3. თიანეთი
4. ახალციხე 5. ლაგოდეხი 6. წულუკიძე
7. თ/წყარო 8. ხობი 9. წ/წყარო
10. ჩხოროწყუ 11. ქარელი 12. ასპინძა
13-18. თერჯოლა 13-18. წალენჯიხა 13-18. ცაგერი
13-18. მარნეული 13-18. ახალქალაქი 13-18. კასპი
19. ვანი 20. აბაშა 21. ონი
22. ბოლნისი 23-24. ბოგდანოვკა 23-24. დმანისი
25-30. ბორჯომი 25-30. გეგეჭკორი 25-30. წალკა
25-30 ზუგდიდის რ-ნი 26-30. ადიგენი

## მაგიდის ჩოგბურთი

### I—ჯგუფი

1. თბილისი 2. აჭარის ასსრ 3. ქუთაისი
4. ს/ოსეთის ა/ო 5. აფხაზეთის ასსრ 6. რუსთავი
7. ხაშური (II ჯგ.)

### II—ჯგუფი

1. ხაშური 2. ხობი (III-ჯგ.) 3. ჭიათურა
4. საჩხერე 5. ფოთი 6. ტყიბული

ეროვნული ბიბლიოთეკა

| | | |
|---|---|---|
| 7. ორჯონიკიძე | 8. ყვარელი | 9. დუშეთი |
| 10. ზესტაფონი | | |

### III—ჯ გ უ ფ ი

| | | |
|---|---|---|
| 1. ხობი | 2. ამბროლაური | 3. მარნეული |
| 4. კასპი | 5. აბაშა | 6. ბორჯომი |
| 7. წალკა | 8. ონი | 9. ვანი |
| 10. ცაგერი | 11-12. თეთრიწყარო | 11-12. ადიგენი |
| 13. წითელწყარო | 14. ჩხოროწყუ | 15. ლენტეხი |
| 16. ასპინძა | 17-18. საგარეჯო | 17-18. ახალქალაქი |

## ბ ა დ მ ი ნ ტ ო ნ ი

### I—ჯ გ უ ფ ი

| | | |
|---|---|---|
| 1. თბილისი | 2. აჭარის ასსრ | 3. აფხაზეთის ასსრ |
| 4. რუსთავი | 5. თელავი (II-ჯგ.) | 6. ქუთაისი |

### II—ჯ გ უ ფ ი

| | | |
|---|---|---|
| 1. თელავი | 2. ტყიბული | 3. გარდაბანი |
| 4. ჭიათურა | | |

### III—ჯ გ უ ფ ი

| | |
|---|---|
| 1. მაიაკოვსკი | 2. გურჯაანი |

## ს პ ო რ ტ უ ლ ი ტ ა ნ ვ ა რ ჯ ი შ ი

### I—ჯ გ უ ფ ი

| გ ო გ ო ნ ე ბ ი | ვ ა ჟ ე ბ ი |
|---|---|
| 1. თბილისი | 1. თბილისი |
| 2. ქუთაისი | 2. ქუთაისი |
| 3. აჭარის ასსრ | 3. ს/ოსეთის ა/ო |
| 4. აფხაზეთის ასსრ | 4. აფხაზეთის ასსრ |
| 5. ს/ოსეთის ა/ო | 5. აჭარის ასსრ |
| 6. რუსთავი | 6. რუსთავი |

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# I-III—ჯგუფი

## გოგონები

1. გორი
2. სამტრედია
3. ლანჩხუთი
4. ზუგდიდი
5. ფოთი

## ჭაბუკები

1. ლანჩხუთი
2. ზუგდიდი
3. გორი

გუნდი მოიხსნა შეჯიბრებიდან.

## საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1977 წლის 15 ივლისის ბრძანება № 482

### საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სისტემის ობიექტებზე მომხდარი ხანძრების შესახებ

აღვნიშნავ, რომ სკოლების, სკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო დაწესებულებების ზოგიერთ ხელმძღვანელს არ განუხორციელებია აუცილებელი პროფილაქტიკური ღონისძიებანი ზამთრის პირობებში ობიექტების სახანძრო უშიშროების უზრუნველსაყოფად, რის შედეგადაც მიმდინარე წლის ზამთრის პერიოდში ადგილი ქონდა ხანძრის შემთხვევას ოჩამჩირის რაიონის ილორის, კვიტაურის (დირექტორები: ვ. გერსამია, ჯ. მიქაია) და თერჯოლის რაიონის ვარდიგორის (დირექტორი გ. გოგბერაშვილი) რვაწლიან სკოლებში.

1976 წლის შემოდგომის პერიოდში დაიწვა აგრეთვე ცხინვალის რაიონის გრომის სასკოლო ინტერნატი (დირექტორი ი. ურიგაევი) და თერჯოლის რაიონის სოფ. საზანოს ჩიხორის უბნის დაწყებითი (გამგე მ. დათიაშვილი) სკოლა.

1977 წლის 24 მაისს ხანძარმა მთლიანად გაანადგურა წალენჯიხის რაიონის ლეჯოლიხეს რვაწლიანი სკოლა (დირექტორი ა. კვარაცხელია).

ხანძრის წარმომშობი მიზეზების ანალიზი გვიჩვენებს, რომ ხანძრები მეტწილად წარმოშობილია ცეცხლთან გაუფრთხილებლობის, ელექტრომოწყობილობების, დროებითი თუნუქისა და კედლის ღუმელების ექსპლოატაციის რეჟიმის დარღვევისა და ძაბვის ქვეშ /ელექტროგამახურებელი მოწყობილობების უმეთვალყურეოდ დატოვების შედეგად.

დადგენილია, ისიც, რომ აღნიშნული სკოლების დირექტორები სისტემატურად არ ასრულებდნენ სახანძრო უშიშროების ტიპური წესების მოთხოვნებს, ხოლო შესაბამისი რაიონების განათლების განყოფილებათა გამგეები ნაკლებად მოითხოვდნენ მათგან ამ წესების ზუსტად შესრულებას.

სახანძრო უშიშროების საკითხებისადმი ყურადღების შესუსტების შედეგად ჯერ კიდევ ბევრი სკოლის, სკოლა-ინტერნატის და სკოლამდელი დაწესებულების შენობები იმყოფება არადამაკმაყოფილებელ ხანძარსაწინააღმდეგო მდგომარეობაში.

გარდაბნის რაიონის კოჯრის პირველ და მესამე საბავშვო სახლების შენობებში (დირექტორები: მგალობლიშვილი, ჯიქია) გათბობა წარმოებს დროებითი თუნუქის ღუმელებით და ისიც სახანძრო უშიშროების ტიპური წესების უხეში დარღვევით, შესაკეთებელია ელექტროგაყვანილობა, საკვამლე მილები და უმოქმედობაში მოყვანილი ცენტრალური გათბობის სისტემა.

ანალოგიურ დარღვევებს ადგილი აქვს თბილისის სმენადაქვეითებულ ბავშვთა სკოლა-ინტერნატში, 113-ე საშუალო სკოლასა და 48-ე ბაგა-ბაღში; ქ. სოხუმის №№ 11, 19 და 24 საშუალო სკოლებში.

თბილისის № 6 საშუალო სკოლისა და 48-ე საბავშვო ბაგა-ბაღის შენობებში სხვენის ხის კონსტრუქციები შეღებილი არ არის ცეცხლგამძლე ხსნარით და სხვ.

ქ. ქუთაისის № 1 სკოლა-ინტერნატი, მე-20 და 27-ე საშუალო სკოლები უზრუნველყოფილი არ არიან ხანძარსაქრობი წყლის მარაგით; სახანძრო აუზები არ გააჩნიათ ბორჯომის, ბოლნისის, გარდაბნის, ლაგოდეხის, მესტიის, მცხეთის, სიღნაღის, წალკის, წყალტუბოსა და ყვარლის რაიონების ზოგიერთ სკოლასა და საბავშვო დაწესებულებას.

ჯერ კიდევ გასულ წელს სკოლების სახანძრო ტექნიკური შემოწმებისას გამოვლენილი დარღვევების გამო სახანძრო ორგანოების მიერ დაჯარიმდნენ ქ. ქ. სოხუმისა და ქუთაისის სკოლა-ინტერნატების დირექტორები (შ. შამბა და ი. მაღლაკელიძე), ჩოხატაურის რაიონის განათლებისა და დუშეთის რაიონის ფასანაურის საშუალო სკოლის დირექტორები (ს. ჯიბუტი და ვ. გოგოლაური), ახმეტის რაიონის ალავერდისა და ბორჯომის რაიონის ბაკურიანის საბავშვო ბაღების გამგეები (ნ. კაკოიშვილი, ნ. ჯეირანაშვილი).

შეინიშნება ისიც, რომ სახალხო განათლების ადგილობრივი ორგანოები ნელი ტემპით ახორციელებენ სკოლების გადაყვანას ცენტრალური გათბობის სისტემაზე, არასაკმაო ყურადღებას აქცევენ სკოლების პირველადი ხანძარსაქრობი ინვენტარით უზრუნველყოფის, მოსწავლეებთან ხანძარსაწინააღმდეგო თემებზე მეცადინეობისა და საუბრების ჩატარების საკითხებს.

ხანძრის შემთხვევების ალკვეთისა და სახანძრო უშიშროების შემდგომი განმტკიცების მიზნით

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების მინისტრებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, ქალაქებისა და რაიონების განათლების განყოფილებათა გამგეებმა:

ა) ეს ბრძანება მიმდინარე წლის 30 ივლისამდე განიხილონ სამინისტროების კოლეგიებისა და განათლების საბჭოების სხდომებზე, შეიმუშაონ სპეციალური გეგმა სახალხო განათლების ობიექტების სახანძრო უშიშროების განსამტკიცებლად;

ბ) ორი კვირის ვადაში ადგილობრივი სახანძრო ზედამხედველობის ორგანოებთან ერთად ერთხელ კიდევ შეამოწმონ სკოლებში, სკოლა-ინტერნატებსა და სხვა საბავშვო დაწესებულებებში ცენტრალური გათბობის სისტემის, ელექტროგაყვანილობის, დროებითი თუნუქის ღუმელებისა და საკვამლე მილების ექსპლოატაციისათვის მზადყოფნის მდგომარეობა და სკოლებში მიმდინარე და კაპიტალური რემონტების ჩატარებისას აღმოფხვრან გამოვლინებული დარღვევები.

გ) 1978 წლის 1-ლ ნოემბრამდე უზრუნველყონ სასწავლო და საბავშვო დაწესებულებები ხანძარსაქრობი პირველადი ინვენტარით, არ დაუშვან დროებითი თუნუქის ღუმელებისა და ელექტროგამახურებელი მოწყობილობების ექსპლოატაცია სახანძრო ორგანოების ნებართვის გარეშე;

დ) მიმდინარე წლის სექტემბერ-ოქტომბერში ადგილობრივი სახანძრო ზედამხედველობის ორგანოებთან ერთად თითოეულ სკოლაში, ყველა კლასების მოსწავლეებთან ჩაატარონ მეცადინეობები და და საუბრები ხანძარსაწინააღმდეგო თემებზე;

ე) აამაღლონ სკოლის დირექტორებისა და საბავშვო დაწესებულებათა ხელმძღვანელების პასუხისმგებლობა სახანძრო უშიშროების ტიპური წესების შესრულებისადმი. პრინციპული მსჯელობა იქონიონ იმ სკოლის დირექტორების პერსონალური პასუხისმგებლობის შესახებ, რომლებმაც ვერ უზრუნველყვეს ობიექტებში ხანძარსაწინააღმდეგო ღონისძიებების გატარება;

ვ) განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ სახანძრო უშიშროების ტიპური წესების მოთხოვნებისა და სადირექტივო ორგანოების მითითებების განუხრელად შესრულების საქმეს. მიაღწიონ იმას, რომ თითოეული სახელმძღვანელო დოკუმენტი სრულდებოდეს დროულად და კომპეტენტურად;

ზ) მ/წლის 1-ლ სექტემბრამდე შეიმუშაონ და მინისტრთა საბ-
ჭოებისა და ადგილობრივი საბჭოების სხდომებზე დაამტკიცონ სკო-
ლებისა და საბავშვო დაწესებულებების ცენტრალური გათბობის სის-
ტემაზე თანდათანობით გადაყვანის გეგმა. მიაღწიონ იმას, რომ 1980
წლამდე ყველა სკოლა გადაყვანილ იქნეს ცენტრალურ გათბობაზე, ამ
საქმეში ფართოდ გამოიყენონ მცირეგაბარიტიანი წყლის გამაცხელებე-
ლი ქვაბები.

2. მიღებულ იქნას ცნობად, რომ ცხინვალის რაიონის გრომის, ოჩამჩირის რაიონის ილორისა და კვიტოულის 8-წლიანი სკოლის დირექტორების ამხ. ამხ. ი. ურიგაევის, ვ. გერსამიასა და ჯ. მიქაიას პერსონალური პასუხისმგებლობის საკითხი განხილულია შესაბამისი რაიონების საბჭოს სხდომებზე და დაედოთ მკაცრი ადმინისტრაციული სასჯელი.

თერჯოლის რაიონის სოფ. საზანოს ჩიხორის უბნის დაწყებითი სკოლის გამგის, ამავე რაიონის ვარდიგორისა და წალენჯიხის რაიონის ლეჯოლიხეს რვაწლიანი სკოლის დირექტორების პასუხისმგებლობის საკითხს განათლების სამინისტრო განიხილავს საგამომძიებლო ორგანოების მიერ ძიების დამთავრების შემდეგ.

3. აღინიშნოს თერჯოლის, ოჩამჩირის, წალენჯიხისა და ცხინვალის რაიონების განათლების განყოფილებათა გამგეების ამხ. ამხ. რ. ზარნაძის, ი. ლაბახუას, ვ. ბელქანიასა და ე. ტასოევის სუსტი მუშაობა და დაევალოს მათ გაზარდონ მომთხოვნელობა და კონტროლი სკოლებსა და საბავშვო დაწესებულებებში სახანძრო უშიშროების განსამტკიცებლად.

4. კონტროლი ამ ბრძანების შესრულებაზე დაევალოს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ინსპექციას.

**საფუძველი:** საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 14 ივლისის დადგენილება.

**მ ი ნ ი ს ტ რ ი** **ოთ. ქინქლაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1977 წლის 2 აგვისტოს ბრძანება № 510

### სკოლა-ინტერნატების მოსწავლეთა V რესპუბლიკური სპარტაკიადის შედეგების შესახებ

განათლების სამინისტროს სკოლა-ინტერნატების დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-60 წლისთავისადმი მიძღვნილი V რესპუბლიკური სპარტაკიადის შედეგებმა ცხადყო, რომ უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში ინტერნატული ტიპის სასწავლო დაწესებულებათა აღსაზრდელთა შორის ფიზკულტურული და სპორტულ-მასობრივი მუშაობა ერთგვარად გაუმჯობესდა.

სკოლა-ინტერნატების V რესპუბლიკურ სპარტაკიადაში მონაწილეობდა რესპუბლიკის 56 სკოლა-ინტერნატის ფიზკულტურული კოლექტივი, რომლებშიც გაერთიანებული იყო და სპარტაკიადის რვავე სახეობაში იასპარეზა 2995 აღსაზრდელმა, მათ შორის 938 მა გოგონამ.

საშუალო სკოლა-ინტერნატებს შორის, სპარტაკიადის ჩემპიონობა მოიპოვა ბროწეულას მესამე და სოხუმის № 1 ინტერნატების სპორტულმა კოლექტივებმა.

რვაწლიან სკოლა-ინტერნატებს შორის პირველი ადგილი დაიკავა რუსთავის, მეორე—თეთრიწყაროს, ხოლო მესამე—წითელწყაროს სკოლა-ინტერნატებმა.

სპორტის ცალკეულ სახეობებში წარმატებით იასპარეზეს აგრეთვე კომაროვის სახელობის თბილისის ფიზიკა-მათემატიკის, ყვარლის საშუალო, განთიადის № 2 და ლაჯანურის რვაწლიანი სკოლა-ინტერნატების აღსაზრდელებმა.

ამასთან ერთად, სკოლა-ინტერნატების აღსაზრდელთა რესპუბლიკური სპარტაკიადის ანალიზი ცხადყოფს, რომ სკოლა-ინტერნატებში სათანადო ყურადღებას არ უთმობენ ფიზკულტურულ-მასობრივი მუშაობის გაუმჯობესების საკითხებს. დირექტორების, პედაგო-

გიური კოლექტივების, მასწავლებლებისა და მწვრთნელების მუშაობაში ჯერ კიდევ არ იგრძნობა გარდატეხა, მუშაობის იმგვარი გარდაქმნა, როგორც ამას ითვალისწინებს განათლების სამინისტროს მოთხოვნები მოსწავლეთა ფიზიკური აღზრდის მკვეთრი გაუმჯობესების თაობაზე.

მესტიის, თბილისის მუსიკალურ და ბოგდანოვკის სკოლა-ინტერნატებში ფიზკულტურულ-სპორტული მუშაობა უაღრესად სერიოზული ნაკლოვანებებით ხასიათდება, რის შედეგადაც აღნიშნულმა ინტერნატებმა თავი აარიდეს სპარტაკიადაში მონაწილეობას.

ფიზიკური კულტურის სწავლება, კლასგარეშე ფიზკულტურულ-მასობრივი მუშაობა ფაქტიურად ჩაშლილია გორის რაიონის ატენის სკოლა-ინტერნატში, რომლის აღსაზრდელებიც უკანასკნელი წლების განმავლობაში საერთოდ არ იღებენ მონაწილეობას რესპუბლიკურ სპარტაკიადებში.

ფიზკულტურულ-სპორტული საქმიანობის ანალიზისა და სპარტაკიადის შედეგების მიხედვით ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელი და კლასგარეშე სპორტული მუშაობის უაღრესად დაბალი დონე კაჭრეთის, ახალქალაქის, სოხუმის № 2, ახალსოფლის, კირნათის, ჩაისუბნის, თიანეთის, მახარაძის, ლენინგორის, ბოდბეს, მატნის, კალდახვარას, ჩხოროწყუს, გურჯაანის, ლანჩხუთის, ახმეტის, ცხაკაიას, ზუგდიდის, ბარისახოს, ფოთის, კოჯრის, კავის, გეგეჭკორის, ბათუმის № 2 სკოლა-ინტერნატებში,

სკოლა-ინტერნატების აღსაზრდელთა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-60 წლისთავისადმი მიძღვნილი V რესპუბლიკურ სპარტაკიადაში მოპოვებული წარმატებების აღნიშვნისა და გამოვლინებულ ნაკლოვანებათა აღმოფხვრის მიზნით,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. დამტკიცდეს მთავარ მსაჯთა კოლეგიის მიერ წარმოდგენილი სკოლა-ინტერნატების მოსწავლეთა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-60 წლისთავისადმი მიძღვნილი V რესპუბლიკური სპარტაკიადის ტექნიკური შედეგები (დანართი № 1).

2. დაჯილდოვდნენ სამახსოვრო თასითა და შესაბამისი ხარისხის დიპლომებით სკოლა-ინტერნატების აღსაზრდელთა V რესპუბლიკური სპარტაკიადის საერთო გუნდურ ჩათვლაში გამარჯვებული სკოლა-ინტერნატების სპორტული კოლექტივები.

3. აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების სამინისტროებმა, სამხრეთ ოსეთის ა/ოლქის რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების სახალხო განათლების განყოფილებებმა:

ა) საგანგებოდ განიხილონ სკოლა-ინტერნატების აღსაზრდელთა V რესპუბლიკური სპარტაკიადის შედეგები, განახორციელონ კონკრეტული ღონისძიებანი ინტერნატული ტიპის სასწავლო დაწესებულებებში ფიზკულტურულ და სპორტულ-მასობრივ მუშაობაში არსებული სერიოზული ნაკლოვანებების აღმოსაფხვრელად.

ბ) მკაცრად მოსთხოვონ პასუხი და განიხილონ იმ სკოლა-ინტერნატების დირექტორების პირადი პასუხისმგებლობის საკითხი, რომელთა საქმიანობა ხასიათდება არაკომპონენტურობით, ზედაპირულობით, რომლებმაც ვერ დაამყარეს მტკიცე წესრიგი მოსწავლეთა ფიზიკური აღზრდის სახელმწიფო სასწავლო პროგრამის შესრულების საქმეში, რომელსაც ითვალისწინებს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ბრძანებები „სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებათა შუქზე სწავლების ხარისხის ამაღლების ღონისძიებათა შესახებ“ და „ქ. თბილისის 134-ე საშუალო სკოლის მოსწავლეთა ფიზიკურ აღზრდაში არსებულ სერიოზულ ნაკლოვანებათა შესახებ“.

4. აღინიშნოს, რომ სკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო სახლების (ამხ. თ. ნიკოლაიშვილი), ფიზიკური აღზრდისა და სპორტის (ამხ. რ. აიწურაძე) სამმართველოებმა ჯერ კიდევ ვერ უზრუნველყვეს სკოლა-ინტერნატებში მოსწავლეთა ფიზიკური აღზრდის მკვეთრი გაუმჯობესების თაობაზე განათლების სამინისტროს ბოლოდროინდელი მოთხოვნების განხორციელება; მათვე დაევალოს 1977 წლის 15 ნოემბრამდე შეისწავლონ მესტიის, თბილისის მუსიკალურ, ბოგდანოვკის, გორის რაიონის ატენის სკოლა-ინტერნატებში ფიზკულტურულ-მასობრივი და სპორტული მუშაობა და დასახონ კონკრეტული ღონისძიებანი მდგომარეობის არსებითად გაუმჯობესებისათვის.

5. განათლების სამინისტროს ფიზიკური აღზრდის რესპუბლიკურმა მეთოდკაბინეტმა (ამხ. გ. მერკვილაძე) რესპუბლიკის სკოლა-ინტერნატებს აღმოუჩინოს სათანადო მეთოდური და პრაქტიკული დახმარება ფიზკულტურული და სპორტულ - მასობრივი მუშაობის უკეთ ორგანიზებისა და წარმართვის საქმეში, პერიოდულად შეისწავლოს სკოლა-ინტერნატებში სასწავლო-კლასგარეშე და სკოლისგარეშე სპორტული მუშაობის მდგომარეობა.

6. აღნიშნული ბრძანების შესრულებაზე კონტროლის განხორციელება დაევალოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სამმართველ-

ლოსა (ამხ. რ. აიწურაძე) და სკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო-
სახლების სამმართველოს (ამხ. თ. ნიკოლაიშვილი).

ეროვნული ბიბლიოთეკა

**საფუძველი:** საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1977 წლის 21 ივლისის სხდომის დადგენილება.

მინისტრის მოადგილე უშ. ოზოლაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1977 წლის 15 აგვისტოს ბრძანება № 529

## ნორჩ მათემატიკოსთა ოცდამეერთე რესპუბლიკური ოლიმპიადის შედეგებისა და ოცდამეორე ოლიმპიადის ჩატარების ღონისძიებათა შესახებ

1976—77 სასწავლო წელს ოცდამეერთე რესპუბლიკური ოლიმპიადის სასკოლო ტურში მონაწილეობა მიიღო 9120-მა მოსწავლემ, მათ შორის 3040-მა სოფლის სკოლებიდან, საქალაქო (სარაიონო) ოლიმპიადაზე—5620-მა მოსწავლემ, მათ შორის სოფლის სკოლებიდან 2750-მა; ზონალურ ტურში — 4300-მა მოსწავლემ, მათგან 1860 მა —სოფლის სკოლებიდან. რესპუბლიკურ ოლიმპიადაზე მონაწილეობდა 587 მოსწავლე, მათგან გაიმარჯვა და I, II, III ხარისხის სიგელებით დაჯილდოვდა VIII—X კლასების 130—მოსწავლე.

1976—77 სასწავლო წელს სკოლებმა სათანადო ღონისძიებანი ვაატარეს მათემატიკის სასკოლო, საქალაქო (სარაიონო) ზონალური და რესპუბლიკური ოლიმპიადებისათვის მოსწავლეთა მომზადების საქმეში.

რესპუბლიკური ოლიმპიადის დასკვნით ტურზე კარგი მომზადება გამოამჟღავნეს ქ. ქ. თბილისისა და ქუთაისის ფიზიკა-მათემატიკური საშუალო სკოლა-ინტერნატების, ქ. თბილისის 42-ე, ქ. ბათუმის მეორე სკოლა-ინტერნატის, ზუგდიდის I და ზესტაფონის მეოთხე საშუალო და სხვა სკოლების მოსწავლეებმა.

XI საკავშირო ოლიმპიადის დასკვნით ტურში საქართველოს სსრ-დან წარგზავნილი 4 ყმაწვილიდან ვ. მ. კომაროვის სახელობის ქ. თბილისის ფიზიკა-მათემატიკური საშუალო სკოლა-ინტერნატის VIII კლასის მოსწავლე ს. სარჩიმელიამ მეორე ხარისხის დიპლომი მიიღო, რისთვისაც 1978 წელს მე-12 საკავშირო ოლიმპიადაზე მონაწილეობისათვის მიწვეული იქნა კონკურსგარეშე, ხოლო ამავე სკოლის X კლასის მოსწავლე ა. ამბროლაძე II ხარისხის დიპლომით დაჯილ-

ლოვდა და შეყვანილი იქნა სსრ კავშირის ნაკრებში. მან მონაწილეობა მიიღო იუგოსლავიაში გამართულ საერთაშორისო ოლიმპიადაზე, სადაც აგრეთვე წარმატებას მიაღწია, მეორე ხარისხის დიპლომი და პრემია დაიმსახურა.

ზემოაღნიშნულ წარმატებებთან ერთად, ადგილებზე ოლიმპიადისათვის მზადების, მისი ჩატარების ორგანიზაციისა და რესპუბლიკური ტურისათვის სათანადო კონტინგენტის შერჩევის საქმეში ჯერ კიდევ შეინიშნება გარკვეული ნაკლოვანებანი:

დასკვნით ტურზე მოსწავლეთა საკმაო ნაწილმა დაბალი მომზადება გამოამჟღავნა. თბილისის მე-4 საშუალო სკოლის ხუთი მოსწავლიდან სამმა ნული და ორმა თითო ქულა მიიღო, ხოლო ბათუმის მე-5 საშუალო სკოლის 16 მოსწავლიდან ცხრამ—0 და 1 ქულა დაიმსახურა, დანარჩენმა შვიდმა კი 2 და 3 ქულა, ცუდი მომზადება გამოამჟღავნეს აგრეთვე წალკის, თეთრიწყაროს, სამტრედიის, ახალქალაქის, ბოლნისისა და დუშეთის რაიონის სკოლებიდან მოსულმა მოსწავლეებმა.

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

§ 1

ოლიმპიადაში მონაწილეობისა და მიღწეული შედეგებისათვის დაჯილდოვდნენ I ხარისხის სიგელით: VIII კლასის 3 მოსწავლე
X კლასის 9 მოსწავლე
II ხარისხის სიგელით: VIII კლასის 3 მოსწავლე
IX კლასის 1 მოსწავლე
X კლასის 9 მოსწავლე
III ხარისხის სიგელით: VIII კლასის 16 მოსწავლე
IX კლასის 22 მოსწავლე
X კლასის 68 მოსწავლე

§ 2

ნორჩ მათემატიკოსთა ოცდამეორე ოლიმპიადის ხელმძღვანელობისათვის დამტკიცდეს რესპუბლიკური საორგანიზაციო კომიტეტი შემდეგი შემადგენლობით:

თ. გეგელია—საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, პროფესორი (თავმჯდომარე);

ეროვნული
ბიბლიოთეკა

2. გ. გიორგობიანი—საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სასკოლო ინსპექტორი (თავმჯდომარის მოადგილე);

3. ტ. მუმლაძე—საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სასკოლო ინსპექტორი (მდივანი);

4. მ. ფაჩუაშვილი—საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივანი;

5. ლ. ჩიქვანაია — ქ. თბილისის განათლების განყოფილების გამგე;

6. ს. თოფურია—ვ. ი. ლენინის სახ. თბილისის პოლიტექნიკური ინსტიტუტის მათემატიკის კათედრის გამგე, პროფესორი;

7. ი. ბაილდაბანოვი—პუშკინის სახ. თბილისის პედაგოგიური ინსტიტუტის დოცენტი;

8. ზ. ჭანტურია — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოცენტი;

9. ქ. გაჯილაროვი—საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სასკოლო ინსპექტორი;

10. მ. მანდარაია—საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სასკოლო ინსპექტორი;

11. მ. ბერუაშვილი—საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მეთოდისტი; პოლიტექნიკურ და ტექნიკურ საშუალებათა მეთოდკაბინეტის მეთოდისტი;

12. ა. აბაშიძე—საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს შრომით, პოლიტექნიკურ და ტექნიკურ საშუალებათა მეთოდკაბინეტის მეთოდისტი;

13. მ. ბუბუტეიშვილი—ქ. თბილისის მესამე ექსპერიმენტული სკოლის მეთოდისტი;

14. რ. ოვნანიანი—საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტის მეთოდისტი;

15. ა. ბუაძე—ვ. მ. კომაროვის სახელობის თბილისის ფიზიკა-მათემატიკური სკოლა-ინტერნატის დირექტორის მოადგილე სასწავლო დარგში;

16. ა. ცხადაია—ვ. მ. კომაროვის სახელობის თბილისის ფიზიკა-მათემატიკური საშუალო სკოლა-ინტერნატის დირექტორი;

17. გ. წულაია—ვ. მ. კომაროვის სახ. თბილისის ფიზიკა-მათემატიკური სკოლა-ინტერნატის მასწავლებელი;

18. ო. ღაღანიძე—თბილისის 42-ე საშუალო სკოლის დირექტორი;

19. ა. გამაზოვი—თბილისის 42-ე საშუალო სკოლის მათემატიკის მასწავლებელი;

20. რ. მოშაშვილი—თბილისის 42-ე საშუალო სკოლის მათემატიკის მასწავლებელი;

ა) ნორჩ მათემატიკოსთა რესპუბლიკური ოლიმპიადის დებულება დამტკიცდეს;

ბ) სასკოლო ტური ჩატარდეს 1977 წლის დეკემბერში, რაიონული (საქალაქო)—1978 წლის იანვარში, ზონალური—1978 წლის 19 თებერვალს, რესპუბლიკური—1977 წლის 25—26 მარტს. სასკოლო და რაიონული (საქალაქო) ტურის ზუსტი თარიღი განისაზღვროს შესაბამის განათლების განყოფილებათა მიერ;

გ) დაევალოს რესპუბლიკურ საორგანიზაციო კომიტეტს უხელმძღვანელოს ოლიმპიადის მომზადება-ჩატარებას, პერიოდულად შეისწავლოს ოლიმპიადისათვის მზადების საკითხი, დროულად ჩაატაროს მოსამზადებელი მუშაობა, დაუყონებლივ დაგზავნოს ადგილებზე დებულებები;

დ) აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების მინისტრებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, ქალაქებისა და რაიონების განათლების განყოფილებათა გამგეებმა დროულად დაიყვანონ სკოლებამდე ნორჩ მათემატიკოსთა რესპუბლიკური ოლიმპიადის დებულება.

სასკოლო, რაიონული (საქალაქო) და ზონალური ტურის მომზადებისა და ჩატარების მიზნით სკოლებსა და რაიონებში (ქალაქებში) შეიქმნას საორგანიზაციო კომიტეტები, ზონის ცენტრებში კი—ზონის საორგანიზაციო კომიტეტები;

ე) საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს საგეგმო-საფინანსო სამმართველომ (ამხ. ალ. კვაჭაძემ) ვ. მ. კომაროვის სახელობის თბილისის ფიზიკა-მათემატიკურ საშუალო სკოლა-ინტერნატს 1978 წლისათვის გამოუყოს საჭირო თანხა მათემატიკოსთა ოცდამეერთე რესპუბლიკური ოლიმპიადის ჩასატარებლად;

ვ) საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მომარაგებისა და დამხმარე საწარმოთა სამმართველომ (ამხ. გ. ქბილაშვილმა) ვ. მ. კომაროვის სახელობის თბილისის ფიზიკა-მათემატიკურ საშუალო სკოლა-ინტერნატს გამოუყოს ოლიმპიადის ჩასატარებლად საბეჭდი ქაღალდი;

ზ) ეს ბრძანება თანდართულ დებულებასთან ერთად განხილულ იქნას ყველა რვაწლიანი და საშუალო სკოლის მათემატიკის მასწავლებელთა მეთოდგაერთიანებათა სხდომებზე.

საფუძველი: საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის დადგენილება (ოქმი № 10, 1977 წლის 15 აგვისტო)

მინისტრი ო. ქინქლაძე

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# დადგენილება

## საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიისა და განათლების, უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის საქართველოს რესპუბლიკური კომიტეტის პრეზიდიუმისა

1977 წლის 15 აგვისტო

### 1977 წელს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მასწავლებელთა ატესტაციის შედეგების შესახებ

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგია და საქართველოს პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის პრეზიდიუმი აღნიშნავენ, რომ სახალხო განათლების ადგილობრივმა ორგანოებმა და პროფკავშირის კომიტეტებმა პარტიული და საბჭოთა ორგანოების ხელმძღვანელობით გარკვეული მუშაობა გასწიეს რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში მასწავლებელთა ატესტაციის ორგანიზებულად ჩატარებისათვის, რაშიც სახალხო განათლების ორგანოებს მნიშვნელოვანი დახმარება გაუწია არსებულმა დადგენილებამ.

მიმდინარე წელს ატესტაცია ჩატარდა რესპუბლიკის 15 რაიონსა და ქალაქში და ა/კ რკინიგზის სამმართველოს 6 სკოლაში, რომლებშიც მუშაობს 13421 მასწავლებელი. მასწავლებელთა ატესტაციის ჩატარების დებულების წესის შესაბამისად ატესტაციაში ჩართული არ იყო 3820 მასწავლებელი (მასწავლებლები, რომელთაც ამ სკოლაში ერთ წელზე ნაკლები უმუშავნიათ—660, ახალგაზრდა სპეციალისტი—1386, ფეხმძიმე ქალები და ქალები, რომელთაც ერთ წლამდე ასაკის ბავშვები ჰყავთ—806, ხანგრძლივ მკურნალობაში

მასწავლებლები—234, პენსიონერი მასწავლებლები, რომლებიც მოწ-ვეულნი არიან სკოლაში განსაზღვრული ვადით—86). პირადი განცხადების თანახმად ატესტაციის გავლამდე გათავისუფლდა 648 მასწავლებელი.

ატესტაცია გაიარეს აგრეთვე იმ მასწავლებლებმა (2125), რომელთაც დებულების თანახმად 1975 და 1976 წლებში გადაედოთ ატესტაცია. ამრიგად, მიმდინარე წელს ატესტაცია გაიარა 11726 მასწავლებელმა, რაც რესპუბლიკის მასწავლებელთა საერთო რაოდენობის (73294) 15,9%-ს შეადგენს.

ატესტაციამ დიდი როლი შეასრულა პედაგოგიური კადრების კვალიფიკაციისა და იდეურ-პოლიტიკური დონის ამაღლების, მათი შემოქმედებითი ინიციატივისა და პერსონალური პასუხისმგებლობის გაზრდის საქმეში. მასწავლებელთა ერთმა ნაწილმა, რომელთაც არ ჰქონდათ სათანადო განათლება მოეწყო უმაღლეს სასწავლებლის დაუსწრებელ განყოფილებაზე.

ატესტაციამ გამოავლინა ისეთი მასწავლებლები, რომლებმაც წარმატებებს მიაღწიეს მოსწავლეთა სწავლებისა და კომუნისტური აღზრდის საქმეში, რომელთაც მიენიჭათ „მასწავლებელ-მეთოდისტის" და „უფროსი მასწავლებლის" წოდება. „მასწავლებელ მეთოდისტის" წოდება მიენიჭა 8 მასწავლებელს. ხოლო „უფროსი მასწავლებლის" წოდება 23-ს. 1556 მასწავლებელმა დაიმსახურა სხვადასხვა წახალისება—„სახალხო განათლების წარჩინებულის" სამკერდე ნიშანი, პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტისა და განათლების სამინისტროს სიგელი და სხვ.

ატესტაციის შედეგად დაკავებულ თანამდებობას შეეფერება 9242 მასწავლებელი (78,9%), შეეფერება დაკავებულ თანამდებობას რეკომენდაციის შესრულების პირობით 2494 მასწავლებელი (20,6%). რეკომენდაციამიცემულ მასწავლებელთა შედარებით მეტი რაოდენობა გამოვლინდა გურჯაანის (54,8%), გარდაბნის (41,7%), ახმეტის (39,8%) და თეთრიწყაროს (34,5%) რაიონებში.

ატესტაციაგავლილ 12726 მასწავლებელთაგან საატესტაციო კომისიამ დაკავებული თანამდებობისათვის შეუფერებლად ცნო 50.

აღსანიშნავია, რომ მასწავლებელთა ატესტაციისათვის მზადებისა და მიმდინარეობის პერიოდში ადგილი ჰქონდა არსებითი სახის ნაკლოვანებებს. ყველა სკოლაში არ იყო ჩატარებული სათანადო განმარტებითი მუშაობა ატესტაციის მიზნისა და ამოცანების შესახებ, არ იყო შემუშავებული სათანადო ღონისძიებანი სასწავლო-აღმზრდე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლობითი მუშაობის ხარისხის ამაღლებისათვის. რიგ სკოლებში ატესტაციამ სერიოზული ნაკლოვანებანი გამოავლინა შინასასკოლო ხელმძღვანელობისა და კონტროლის განხორციელებაში, დირექტორებმა და მათმა მოადგილეებმა სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის დარგში ზოგადად შეისწავლეს მასწავლებელთა საქმიანობა; დახასიათებებში არ გააშუქეს მასწავლებელთა მიერ პროგრამული მასალის ცოდნის, მათ მიერ სწავლების თანამედროვე მეთოდების გამოყენების საკითხები. სუსტად ასახეს მასწავლებლის, როგორც კლასის ხელმძღვანელის, მუშაობა, რის გამოც წითელწყაროს პირველი და მეორე საშუალო და სამათლოს რვაწლიანი სკოლების დირექტორებს დაედოთ დისციპლინარული სასჯელი, ხოლო ქ. თელავის მეორე საშუალო სკოლაში გაუქმებულ იქნა მასწავლებელთა ატესტაცია.

ადგილი ჰქონდა ისეთ აქტებს, როცა გამოტანილი წინადადებები და დასკვნები არ გამომდინარეობდა მასწავლებელთა დახასიათებიდან. ხშირ შემთხვევაში სასწავლო-აღმზრდელობით მუშაობაში ნაკლის მქონე მასწავლებლებს არ ეძლეოდათ რეკომენდაციები, რისთვისაც მუშა ჯგუფები არ დაეთანხმნენ სკოლების დასკვნებს 294 მასწავლებელზე, ხოლო საატესტაციო კომისიები—მუშა ჯგუფის დასკვნებს 91 მასწავლებელზე.

პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის პრეზიდიუმმა ა/წ 24 მაისს მკაცრი შეფასება მისცა გურჯაანის რაიონის განათლების განყოფილებისა (გამგე ე. კახაბერი) და პროფკავშირის რაიონული კომიტეტის (რაიკომის თავ-რე რ. ლაშქარაშვილი) მუშაობას მასწავლებელთა ატესტაციის ჩატარების საქმეში. შემოწმებით დადგინდა, რომ რაიონის სკოლების უმრავლესობაში მასწავლებელთა საატესტაციო დახასიათებები წინასწარ არ ყოფილა განხილული სკოლების ადგილკომების სხდომებზე. არსებული წესის საწინააღმდეგოდ პრაქტიკაში შემოღებული ჰქონდათ განათლების განყოფილების მუშა ჯგუფის სხდომებზე მასწავლებელთა დიდი რაოდენობის გამოძახება. სკოლების პედაგოგიურ კოლექტივებამდე არასაკმაოდ იყო დაყვანილი და გაგებული ატესტაციის მიზნები და ამოცანები. რაიონში 328 ატესტაციაგავლილ მასწავლებლიდან შეეფერება დაკავებულ თანამდებობას და იმსახურებს წახალისებას მხოლოდ 19 მასწავლებელი. შეეფერება დაკავებულ თანამდებობას რეკომენდაციის შესრულების პირობით 320 მასწავლებელი ანუ 54,8%. დაკავებული თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ განცხადება დაწერა და აღარ გატარდა ატესტაციაზე 110 მასწავლებელი.

გარკვეული ნაკლოვანებები აღინიშნება აგრეთვე ატესტაციის შედეგად რეკომენდაციამიცემულ მასწავლებლებთან მუშაობის საქმეში, რასაც საჭირო ყურადღებით არ მოეკიდნენ მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტები და რაიონის (ქალაქის) მეთოდური კაბინეტები, არ ეწევა პროპაგანდა მასწავლებელ-მეთოდისტის, უფროსი მასწავლებლის გამოცდილებას. ყველგან სათანადო ყურადღება არ ექცევა მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლების საკითხს, რიგ რაიონებში მასწავლებელთა გარკვეულ ნაწილს არ აქვს გავლილი კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსები.

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგია და პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის პრეზიდიუმი

ა დ გ ე ნ ე ნ:

1. აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების მინისტრებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, ქალაქებისა და რაიონების განათლების განყოფილებათა გამგეებმა და შესაბამისი პროფკავშირის საოლქო და რაიონული კომიტეტების თავმჯდომარეებმა:

—მასწავლებელთა ატესტაციის ჩატარების მზადებისა და მიმდინარეობის პერიოდში მტკიცედ იხელმძღვანელონ არსებული დადგენილებით.

სისტემატური დახმარება და კონტროლი გაუწიონ მეთოდურ ჯგუფებსა და სკოლების ხელმძღვანელობას მასწავლებელთა ატესტაციისათვის მზადებასა და მის მაღალ დონეზე ჩატარებაში.

მასწავლებელთა ატესტაცია ფართოდ გამოიყენონ პედაგოგიური კოლექტივების მუშაობის დონის შემდგომი ამაღლებისათვის, მოსწავლეთა სწავლისა და კომუნისტური აღზრდის მიზნით სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებათა შუქზე.

—განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ და არ დაუშვან მასწავლებელთა საქმიანობის არაობიექტურად შეფასება, აღმოფხვრან ფორმალიზმი და ზერელობა. ატესტაციის შედეგად შესაფერის რეკომენდაციამიცემულ მასწავლებლებს შეუქმნან აუცილებელი პირობები მათი შესრულებისათვის;

—აუცილებელ შემთხვევაში, საატესტაციო კომისიებთან მეთოდისტების, ინსპექტორებისა და სხვა სპეციალისტების შემადგენლობით შექმნან საექსპორტო ჯგუფები.

—მასწავლებელთა ატესტაციისათვის მზადებისა და ჩატარების მიმდინარეობის საკითხი პერიოდულად განიხილონ კოლეგიების, სახალხო განათლების საბჭოების და პროფკავშირის კომიტეტების ერთობლივ სხდომებზე, შეიმუშაონ და განახორციელონ ღონისძიებანი მასწავლებელთა ატესტაციის მაღალ დონეზე ჩატარებისათვის.

2. მასწავლებლები, რომლებმაც მიაღწიეს წარმატებებს მოსწავლეთა სწავლებისა და კომუნისტური აღზრდის საქმეში დაჯილდოვდნენ განათლების, უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფესიული კავშირის საქართველოს რესპუბლიკური კომიტეტისა და საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს საპატიო სიგელით.

3. 1977—1978 სასწავლო წელს მასწავლებელთა ატესტაციის მაღალ დონეზე ჩატარების მიზნით ოქტომბერში ჩატარდეს რესპუბლიკის განათლების ადგილობრივი ორგანოების გამგეებისა და შესაბამისი პროფკავშირის რაიკომების თავმჯდომარეების თათბირ-სემინარი.

4. მასწავლებელთა დახელოვნების ცენტრალურმა, ქ. ქ. თბილისის, ქუთაისის, სოხუმის ბათუმის, ცხინვალის ინსტიტუტებმა სახალხო განათლების ადგილობრივ ორგნოებთან და პროფკავშირის კომიტეტებთან ერთად უზრუნველყონ ატესტაციის შედეგად რეკომენდაციამიცემულ მასწავლებლებთან მუშაობის იმდაგვარად მოწყობა, რომ შეექმნათ აუცილებელი პირობა მათი შესრულებისათვის.

5. ამ დადგენილების შესრულებაზე კონტროლი დაევალოთ საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კადრების სამმართველოს და პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის საწარმოო მუშაობისა და ხელფასის განყოფილებას.

| | |
|---|---|
| საქართველოს სსრ განათლების | პროფკავშირის რესპუბლიკური |
| მ ი ნ ი ს ტ რ ი | კომიტეტის თავმჯდომარე |
| **ო. ქინქლაძე** | **დ. იოსელიანი** |

## საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1977 წლის 23 აგვისტოს ბრძანება № 535

### რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების სწავლების კაბინეტურ სისტემაზე გადასვლის ღონისძიებების შესახებ

რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების სწავლების კაბინეტურ სისტემაზე გადასვლის მდგომარეობის შემოწმებამ ნათელყო, რომ ამ მიმართულებით განათლების ხელმძღვანელი ორგანოებისა და სკოლების მიერ შეფი ორგანიზაციების დახმარებით ერთგვარი დადებითი მუშაობაა ჩატარებული.

მიმდინარე 1976-1977 სასწავლო წლისათვის რესპუბლიკის 1642 საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლიდან სწავლების კაბინეტურ სისტემაზე გადასულია 29 სკოლა. ადგილებზე ჩატარებული ნაყოფიერი მუშაობის შედეგად 1977-1978 სასწავლო წლისათვის ასეთი სკოლების რიცხვი 653-მდე გაიზრდება.

ამ მხრივ გამოირჩევა ქ. თბილისი, სადაც 154 საშუალო სკოლიდან სწავლების კაბინეტურ სისტემაზე გადასულია 70 სკოლა, ქუთაისი (36)—16, ფოთი (2)—6, რუსთავი (19)—8, ტყიბული (15)—8, სოხუმი (21)—15, ტყვარჩელი (6)—6, გაგრა (22)—14, ამბროლაური (11)—6, ბორჯომი (13)—8, ლანჩხუთი (15)—8, წალენჯიხა (18)—9, ჩოხატაური (17)—10 და ჩხოროწყუს (16)—8 რაიონები.

სწავლების კაბინეტურ სისტემაზე გადასული სკოლების მუშაობის შემოწმებით ცხადი შეიქნა, რომ სასწავლო კაბინეტებში მუშაობის პირობებში უფრო სრულყოფილად ხდება სასწავლო-ტექნიკურ საშუალებათა გამოყენება, მაღლდება სწავლების მეცნიერული დონე და მოსწავლეთა მიერ საპროგრამო მასალის ათვისების ხარისხი; უმჯობესდება სასწავლო მოწყობილობისა და ინვენტარის მოვლა-პატრონობა, კლასგარეშე მუშაობა.

სწავლების კაბინეტურ სისტემაზე გადასულ ბევრ სკოლაში სანიმუშოდაა მოწყობილი სასწავლო კაბინეტები, რაც ხელს უწყობს

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოსწავლეთა სწავლა-აღზრდის საქმეში ნაყოფიერ მუშაობას.

ქ. თბილისის 77-ე (დირექტორი გ. კობახიძე) საშუალო სკოლაში—I-II კლასების მოსწავლეთათვის გამოყოფილია თვალსაჩინო მასალებით, სასწავლო მოწყობილობით, სწავლების ტექნიკური საშუალებებით, ავეჯითა და ხელსაწყოებით აღჭურვილი სამეცადინო ოთახები; მოწყობილია სიმღერისა და ხატვის კაბინეტები; ყველა სასწავლო კაბინეტი კეთილმოწყობილი და შევსებულია დგამ-ავეჯით, მოცემულ საგანში სასწავლო მოწყობილობათა სრულყოფილი კომპლექტით, უცხოური ენის კაბინეტი-ლინგოფონური მოწყობილობითა და მეტყველების შესასწავლი ბარათებით, ამოცანათა და სავარჯიშოთა კრებულებით, სასწავლო-მეთოდურ სახელმძღვანელოთა კომპლექტით, ხელსაწყოების შესაკეთებელი და დასამზადებელი ინსტრუმენტებითა და მასალებით, მოსწავლეთა მიერ დამზადებული ხელსაწყოებით, მოწყობილია მასწავლებელთა და მოსწავლეთა სამუშაო ადგილები. ასევე, დამაკმაყოფილებლადაა მოწყობილი სასწავლო ოთახები I-II კლასებისათვის და სასწავლო კაბინეტები ქ. თბილისის I-ელ (დირექტორი ლ. შეწირული), 23-ე დირექტორი (რ. ნინუა), 32-ე (დირექტორი ე. ნემსიწვერიძე), 51-ე (დირექტორი ი. ჩიჩელაშვილი), 55-ე (დირექტორი ო. ლომიძე), 88-ე (დირექტორი ი. გიორგაძე), 136-ე (დირექტორი მ. კობახიძე), ქ. ქუთაისის პირველ (დირექტორი ი. გენძეხაძე), მე-2 (დირექტორი ა. სანდუხაძე), მე-8 (დირექტორი რ. ცინცაძე), მე-12 (დირექტორი ე. თავაძე), 23-ე (დირექტორი დ. ქომეთიანი); ფიზიკა-მათემატიკის სკოლა-ინტერნატი (დირექტორი ი. მაღლაფერიძე), ქ. ჭიათურის მე-7 (დირექტორი ე. ვაშაძე), თერჯოლის რაიონის ღვანკითის (დირექტორი ი. ვახაჯელიძე); საჩხერის რაიონის არგვეთის (დირექტორი ჯ. ქავთარაძე); ცაგერის (დირექტორი · კოპალიანი); სიღნაღის რაიონის წნორის პირველ (დირექტორი ს(ი. ხანჯალაშვილი); სიღნაღის (დირექტორი ი. შოშიაშვილი); დმანისის რაიონის დიდი დმანისის (დირექტორი თ. მანათაშვილი); ხაშურის მე-3 (დირექტორი ა. ნოზაძე); ბოლნისის რაიონის კაზრეთის ქართული (დირექტორი გ. ჯაყელი); კაზრეთის რუსული (დირექტორი დ. ფოტოვი) საშუალო, საჩხერის რაიონის სავანის (დირექტორი ლ. კუპრაშვილი) და სიღნაღის რაიონის ხირსის (დირექტორი ვ. ლათიბაშვილი) რვაწლიან სკოლებში.

უკანასკნელ წლებში რესპუბლიკის თითქმის ყველა საშუალო სკოლაში თანამედროვე მოთხოვნათა შესაბამისადაა მოწყობილი ფიზიკის, ქიმიის, ბიოლოგიის კაბინეტები და სასკოლო სახელოსნოები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

1976 წლის 5 სექტემბრის მდგომარეობით რესპუბლიკის 1642 საშუალო სკოლიდან ფიზიკის კაბინეტი მოწყობილია 1619—ში, ქიმიის—1481 და ბიოლოგიის—1148 სკოლაში; 2651 საშუალო და რვაწლიანი სკოლიდან სასწავლო სახელოსნო ლითონების დამუშავებისათვის მოწყობილია 668 სკოლაში, მერქნის დამუშავებისათვის—1300, კომბინირებული (ლითონებისა და მერქნის დამუშავებისათვის) —877, საყოფაცხოვრებო შრომისათვის—411 სკოლაში.

სწავლების კაბინეტურ სისტემაზე გადაყვანილ რიგ შემოწმებულ სკოლებში მასწავლებელთა გულმოდგინე შრომით, მოსწავლეთა აქტივისა და შეფი ორგანიზაციების დახმარებით კარგადაა მოწყობილი ზოგიერთი სასწავლო კაბინეტი. ასე, მაგალითად, ქ. თბილისის 23-ე, ტყიბულის რაიონის ორპირის მე 5 საშუალო სკოლებში მათემატიკის (გამგე მასწავლებლები ვ. ანდრიაძე, გ. სეფიაშვილი, ლ. ბერიძე, რ. გვენეტაძე); ქ. თბილისის 1-ელ, 77-ე, 87-ე, ბოლნისის რაიონის კაზრეთის რუსულ, თერჯოლის რაიონის ღვანკითის, სიღნაღის რაიონის წნორის მე-3 საშუალო სკოლეში—ფიზიკის (გამგეები შ. აბაიშვილი, ლ. ჯაშიაშვილი, კ. ჩვითარია, ვ. ტერეხოვი, ა. დოლაკიძე, მ. მჭედლიშვილი); ტყიბულის რაიონის კურსების საშუალო სკოლაში —გეოგრაფიის (გამგე-მასწავლებელი ვ. ბერიძე); საჩხერის რაიონის არგვეთის, სიღნაღის საშუალო სკოლებში—ბიოლოგიის (გამგეები ლ. მამაცაშვილი, რ. ხოსიტაშვილი); ქ. თბილისის 23-ე საშუალო სკოლაში ქიმიის (გამგე თ. კაჭარავა); ტყიბულის რაიონის ორპირის, ცუცხვათის, ტყიბულის მე-7 საშუალო სკოლებში—უცხოური ენების, ლინგოფონური მოწყობილობით (გამგე-მასწავლებლები ა. ცირეკიძე, ტ. მოსელიძე, ლ. ჯაშიაშვილი).

შემოწმებით გამოირკვა, რომ სწავლების კაბინეტურ სისტემაზე გადასვლამ რესპუბლიკის ზემოდასახელებულ სკოლებში ხელი შეუწყო სწავლების ხარისხის გაუმჯობესებისადმი მასწავლებელთა პასუხისმგებლობის გაზრდას. ამაღლდა მოსწავლეთა აკადემიური წარმატების დონე და ინტერესი სწავლისადმი, გაუმჯობესდა პირობები მასწავლებელთა მეთოდური გაერთიანებებისა და კლასგარეშე საგნობრივი წრეების მუშაობისათვის, ნორმალური პირობები შეიქმნა ცალკეული საგნების მიხედვით მოსწავლეებთან დამატებითი მუშაობისათვის, რის შედეგადაც შემცირდა აკადემიურად ჩამორჩენილ მოსწავლეთა რიცხვი.

საჩხერის რაიონის არგვეთის საშუალო სკოლაში გასული 1975-1976 სასწავლო წლის მეორე მეოთხედში 524 მოსწავლიდან 8 ასწორე-

ზდა „5"-ზე და 41 „4"-ზე, მიმდინარე 1976-77 სასწავლო წლის იმავე პერიოდისათვის შეფასება „5" ჰქონდა 27 მოსწავლეს და „4"—84 მოსწავლეს. არ იყო არც ერთი მეორეწლიანი მოსწავლე; სიღნაღის რაიონის ხირსის რვაწლიან სკოლაში წინა სასწავლო წლებში მოსწავლეთა აკადემიური მოსწრება 85-86%-ს არ აღემატებოდა. სწავლების კაბინეტურ სისტემაზე გადასვლის პირველ წელსავე აკადემიური მოსწრება 97%-მდე გაიზარდა; ხაშურის რაიონის სურამის საშუალო სკოლაში, თუ გასულ 1974-1975 სასწავლო წელს აკადემიური მოსწრება იყო 88,6 %, 1975-1976 სასწავლო წლისათვის 98,4 %-დან შემდეგ წელს 94,7%-მდე გაიზარდა, სურამის მე-3 საშუალო სკოლაში კი 98%-დან—98,5%-მდე და სხვ.

მიუხედავად აღნიშნული ერთგვარი წარმატებებისა, რესპუბლიკის სკოლების სწავლების კაბინეტურ სისტემაზე გადასვლის საქმეში ავტონომიური რესპუბლიკების, ოლქის, ქალაქების, რაიონების ხელმძღვანელებს ჯერ კიდევ გააჩნიათ მთელი რიგი ნაკლოვანებანი.

ზოგიერთი ქალაქისა და რაიონის სახალხო განათლების განყოფილება მუდმივად არ ზრუნავს სწავლების კაბინეტურ სისტემაზე გადასვლასა და სკოლებში სასწავლო კაბინეტების სრულყოფილად მოწყობისათვის; ნაკლებად ატარებს სემინარებს გამოცდილების ურთიერთ გაზიარებაზე, არ ამტკიცებს კაბინეტების მოწყობის, განვითარების გეგმებს და თვალყურს არ ადევნებს მათ შესრულებას.

რესპუბლიკის 2651 საშუალო და რვაწლიანი სკოლიდან სწავლების კაბინეტურ სისტემაზე გადასულია მხოლოდ 512 სკოლა; ამ მხრივ აღსანიშნავია აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკა, სადაც 272 საშუალო და რვაწლიანი სკოლიდან სწავლების კაბინეტურ სისტემაზე გადასულია 72 სკოლა, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა (242)—21, სამხრეთ ოსეთის ა/ო (94)—14, აბაშის (26)—1, ადიგენის (19)—4, ახალქალაქის (64)—6, ახალციხის (39)—2, ახმეტის (30)—1, ბოგდანოვკის (34)—1, ვანის (32)—3, გეგეჭკორის (50)—3, დუშეთის (38)—1, ლაგოდეხის (34)—4, მარნეულის (71)—1, მაიაკოვსკის (24)—2, ონის (21)—1, ორჯონიკიძის (29)—3, სამტრედიის (34)—3, საჩხერის (32)—3, თერჯოლის (27)—2, ხაშურის (31)—4, ხობის (33)—1; ცაგერის (27)—3, წითელწყაროს (17)—2 და წყალტუბოს (41)—3 რაიონები. განსაკუთრებით ცუდი მდგომარეობაა ასპინძის (18), ყაზბეგის (4), ლენტეხის (14), საგარეჯოს (26), თიანეთის (14) რაიონებში, სადაც დღეისათვის არც ერთი ზოგადსა-

განმანათლებლო სკოლა არაა გადასული სწავლების კაბინეტურ სისტემაზე.

მეტად ცუდი მდგომარეობაა ამ მხრივ ჭიათურის (17), აბაშის (11), ასპინძის (9), ახალციხის (21), ახმეტის (14), ბოგდანოვკის (15), გარდაბნის (16), დმანისის (23), დუშეთის (22), ყაზბეგის (4), კასპის (10), ყვარლის (9), ლაგოდეხის (18), ლენტეხის (6), მარნეულის (26), მაიაკოვსკის (7), მცხეთის (15), საგარეჯოს (10), თელავის (6), თერჯოლის (10), თიანეთის (6), ხობის (11), ცაგერისა (14) და წყალტუბოს (19) რაიონებში. მიმდინარე 1976-1977 სასწავლო წლისათვის არც ერთი რვაწლიანი სკოლა არაა გადასული სწავლების კაბინეტურ სისტემაზე.

შემოწმებული ზოგიერთი ქალაქის, რაიონის სკოლების სწავლების კაბინეტურ სისტემაზე გადასვლის პერსპექტიული გეგმის შედგენისას გათვალისწინებული არ არის სკოლების შესაძლებლობანი. მიმდინარე 1976-1977 სასწავლო წლისათვის, უმნიშვნელო მიზეზების გამო, სწავლების კაბინეტურ სისტემაზე გადაყვანილი არ იქნა მახარაძის რაიონის ნატანების, ზემო ნატანების, ლენტეხის რაიონის ჩოლურის, სიღნაღის რაიონის ბოდბისხევის, სამტრედიის რაიონის გომის, ბოლნისის აზერბაიჯანული, მალომულანლოს, კასპის რაიონის აღაიანისა და ხანდაკის საშუალო სკოლები.

ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების ერთი ნაწილი სათანადოდ არ ემზადება სწავლების კაბინეტურ სისტემაზე გადასვლისათვის. დამოუკიდებელ რვაწლიან სკოლებში ჯერ კიდევ შექმნილი არაა სათანადო სასწავლო მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. 1976 წლის 5 სექტემბრის მდგომარეობით, რესპუბლიკის 1009 რვაწლიანი სკოლიდან ფიზიკის კაბინეტი არ აქვს 280 სკოლას, ქიმიის—346; ბიოლოგიის—668 სკოლას. ამ მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავია ბოგდანოვკის რაიონი, სადაც 15 რვაწლიანი სკოლიდან ფიზიკის კაბინეტი არ აქვს 10 სკოლას, ქიმიის—16-ს, ბიოლოგიის—19-ს, კასპის რაიონში (10), ფიზიკის—8-ს, ქიმიის 9-ს, ბიოლოგიის—9-ს; ორჯონიკიძის რაიონში (12), ფიზიკის—6-ს, ქიმიის—9-ს, ბიოლოგიის—9-ს; ცხაკაიის რაიონში (12), ფიზიკის—6-ს, ქიმიის—8-ს, ბიოლოგიის—9-ს.

მოუწყობელია კასპის რაიონის კასპის 1-ლი, ახალქალაქის, სასირეთის, ქვემოჭალის, თერჯოლის რაიონის ღვანკითის საშუალო სკოლებში მშობლიური ენისა და ლიტერატურის; სიღნაღის რაიონის წნორის 1-ელ, მე-3 საშუალო სკოლებში მათემატიკის; კასპის რაიო-

ნის კასპის 1-ელ, სასირეთის, თერჯოლის რაიონის ღვანკითის საშუალო სკოლებში—ქიმიის; კასპის რაიონის კასპის 1-ელ, ახალქალაქის, სასირეთის, ქვემოჭალის საშუალო სკოლებში—უცხოური ენის კაბინეტები; სამტრედიის რაიონის საჯავახოს საშუალო სკოლაში საყოფაცხოვრებო შრომის, ხატვისა და ხაზვის სასწავლო კაბინეტები.

სწავლების კაბინეტურ სისტემაზე გადასულ ზოგ სკოლაში, სასწავლო კაბინეტების არარაციონალურად განაწილებისა და გაკვეთილების ცხრილის არსებითი ხასიათის ხარვეზებით შედგენის გამო, დერეფნებში იქმნება მოსწავლეთა დიდი მოძრაობა, ზოგჯერ კი ადგილი აქვს მოსწავლეთა შეჯგუფებას კიბეებზე ასვლისა და ჩამოსვლის დროს.

რიგი ქალაქების, რაიონებისა და სკოლების მიერ ათვისებული არაა სასწავლო კაბინეტებისათვის თვალსაჩინო მასალების, ხელსაწყოიარაღებისა და სწავლების ტექნიკური საშუალებების შესაძენად 1976 წლისათვის ბიუჯეტით გამოყოფილი ცენტრალიზებული თანხები.

ქ. ტყიბულის რაიონის სკოლებს აუთვისებელი დარჩათ 3387 მან. თერჯოლის რაიონის თერჯოლის საშუალო სკოლას—600 მან., თუზის—507 მან., ჭოგნარის—55 მან., კვახჭირის—600 მან., ნახშირღელის—465, გოდოგნის—400 მან. და სხვ.

ზოგ შემთხვევაში, ახალი სასწავლო შენობების მშენებლობისას, სკოლებზე დაშენება-მიშენების ტექნიკურ დოკუმენტაციაში გათვალისწინებული არაა სასწავლო კაბინეტებსა და სახელოსნოებისათვის სათავსოები. თერჯოლის რაიონის ალისუბნის (აგებულია 1967 წ.) და სიგთარის (აგებულია 1967 წ.) საშუალო სკოლების ახლად აგებულ სასკოლო შენობებში ფიზიკის, ქიმიისა და ბიოლოგიის კაბინეტებთან, გვერდით, დაგეგმილი არაა პატარა სათავსო-ლაბორატორიები, რაც დიდ უხერხულობას ქმნის ნორმალური მუშაობისათვის.

უნდა აღინიშნოს, რომ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების სწავლების კაბინეტურ სისტემაზე გადასვლის ქალაქებისა და რაიონების პერსპექტიული გეგმის შეუსრულებლობა უმთავრესად გამოწვეულია სასკოლო შენობების სასარგებლო სასწავლო კაბინეტების მოსაწყობად საჭირო დგამ-ავეჯის, თვალსაჩინო მასალებისა და სწავლების ტექნიკურ საშუალებათა სიმცირით.

სწავლების კაბინეტურ სისტემაზე ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების გეგმაზომიერად გადასვლის, სასწავლო კაბინეტების დროულად

აღჭურვისა და სასწავლო პროცესში მათი რაციონალურად გამოყენების მიზნით,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების მინისტრებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, ქალაქებისა და რაიონების სახალხო განათლეაის განყოფილებათა გამგეებმა:

ა) უახლოეს დროში შეისწავლონ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მატერიალურ-ტექნიკური ბაზები, დააზუსტონ ახალი სასწავლო კაბინეტების, სახელოსნოების შექმნის, არსებულ თვალსაჩინო მასალების, ხელსაწყო-იარაღებით შევსების მდგომარეობა და შეიტანონ საჭირო ცვლილებანი 1974-1980 წლების კაბინეტურ სისტემაზე სკოლების გადასვლის პერსპექტიულ გეგმებში, დაიყვანონ ისინი სკოლამდე და ზუსტი კონტროლი დააწესონ მათ ეტაპობრივ შესრულებაზე.

ბ) მოაწყონ 1977-1980 წ. წ. ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების სასწავლო კაბინეტების დაკომპლექტება თვალსაჩინოებით, ხელსაწყო-იარაღებითა და სწავლების ტექნიკური საშუალებებით სსრ კავშირის განათლების მინისტრის 1968 წლის 31 დეკემბრის № 107 ბრძანებით დამტკიცებული ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების ტიპობრივი სასწავლო-თვალსაჩინო ხელსაწყო-იარაღებისა და სასწავლო მოწყობილობათა ნუსხის შესაბამისად, აგრეთვე მოქმედი ნორმატივების მიხედვით შეავსონ დგამ-ავეჯით;

გ) განახორციელონ ქმედითი ხელმძღვანელობა და კონტროლი სასწავლო კაბინეტების ხარისხიანი აღჭურვის, სწავლების კაბინეტურ სისტემაზე ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების გადასვლის მიმდინარეობასა და სასწავლო-აღმზრდელობით მუშაობაში სწავლების ტექნიკური საშუალებების ეფექტურ გამოყენებაზე; ფართოდ დანერგონ პრაქტიკაში ამ პრობლემის თემატური, კომპლექსური შემოწმებები და შედეგები განიხილონ კოლეგიების, აღმასკომებისა და სახალხო განათლების საბჭოების სხდომებზე;

დ) ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებზე როგორც ცენტრალიზებული, ასევე შეფი ორგანიზაციების მიერ გადმოცემული სახსრები გეგმაზომიერად გაანაწილონ სასწავლო თვალსაჩინო მოწყობილობათა, სწავლების ტექნიკურ საშუალებათა შესაძენად და სისტემატური კონტროლი დააწესონ მათ დროულად, მიზნობრივად ათვისებაზე;

ე) საქალაქო და რაიონული მეთოდური კაბინეტების სექციების სხდომებზე სისტემატურად განიხილონ და სკოლის ხელმძღვანელებსა და მასწავლებლებს ფართოდ გააცნონ სასწავლო კაბინეტების მოწყობის, აღჭურვისა და გამოყენების საკითხები;

ვ) მიმდინარე წლის ბოლომდე, „ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების ტიპობრივი სასწავლო-თვალსაჩინო ხელსაწყო-იარაღებისა და სასწავლო მოწყობილობათა ნუსხის" საფუძველზე, ქალაქის (რაიონის) მეთოდურ კაბინეტთან არსებული სექციის ხელმძღვანელებმა ჩაატარონ სასწავლო კაბინეტების ზუსტი აღწერა, რის შედეგად ზედმეტი ხელსაწყო-იარაღები, სწავლების ტექნიკური საშუალებები გადაანაწილონ ქალაქის (რაიონის) ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებს შორის.

2. ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების დირექტორებმა და მათმა მოადგილეებმა სასწავლო მუშაობის დარგში.

ა) საფუძვლიანად შეისწავლონ სწავლების კაბინეტურ სისტემაზე სკოლების გადასვლის შესაძლებლობა, რისთვისაც იხელმძღვანელონ სსრკ განათლების სამინისტროს „მეთოდური რეკომენდაციით ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის სასწავლო კაბინეტების შესახებ"; პედაგოგიური საბჭოს სხდომებზე განიხილონ, დაამტკიცონ სასწავლო კაბინეტების მოწყობის, წლიური, ხუთწლიანი გეგმები, მოისმინონ სასწავლო კაბინეტების გამგეების ანგარიშები, განაზოგადონ დადებითი გამოცდილება; გააგრძელონ სასწავლო კაბინეტების დაკომპლექტება ახლად გამოშვებული და მოდერნიზებული ხელსაწყო-იარაღებით, შეადგინონ კარტოთეკები და მოახდინონ სრული ინვენტარიზაცია;

ბ) სასწავლო კაბინეტების გამოყოფისთანავე ბრძანებით დანიშნონ კაბინეტის გამგეები, ჩააბარონ მათ კაბინეტის მოწყობილობა, თვალსაჩინო მასალები, სწავლების ტექნიკური საშუალებანი და პასუხისმგებლობა დააკისრონ მათ მოვლა-შენახვაზე;

გ) სასწავლო კაბინეტები გადააქციონ მასწავლებელთა მეთოდური მუშაობის ცენტრად, მაღალნაყოფიერი გახადონ საგნობრივ მეთოდგაერთიანებათა მუშაობა;

დ) ყოველმხრივ შეისწავლონ ცალკეული სასწავლო კაბინეტების მუშაობა, გახადონ იგი პედაგოგიური საბჭოს მსჯელობის საგნად, დასახონ და განახორციელონ ქმედითი ღონისძიებანი შემჩნეულ ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად.

3. საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ი. გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიკის სამეცნიერო-კვლევითმა ინსტიტუტმა (ამხ. გ. საყვარელიძე) მოამზადოს:

ა) 1977 წლის დეკემბრამდე—საშუალო და რვაწლიანი სკოლებისათვის მეთოდური რეკომენდაცია სასწავლო კაბინეტების მოწყობის, გამოყენებისა და განვითარების შესახებ;

ბ) 1977 წლის განმავლობაში—საშუალო სკოლებში დამოუკიდებელ (ქართული ენისა და ლიტერატურის, რუსული ენისა და ლიტერატურის, მათემატიკის, ფიზიკის, ქიმიის, ბიოლოგიის, ისტორიის საზოგადოებათმცოდნეობის, გეოგრაფიის, უცხოური ენების) და რვაწლედან სკოლებში შეთავსებული კაბინეტების მოწყობის, სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობაში მათი ორგანიზებულად და ეფექტურად გამოყენების საქმეში მასწავლებელთა მოწინავე გამოცდილების ამსახველი წიგნები;

4. მასწავლებელთა დახელოვნების ცენტრალურმა, სოხუმის, ბათუმის, ცხინვალის სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, თბილისისა და ქუთაისის მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტებმა (ამხ. ამხ. მ. დარჩიამ, რ. აგბამ, შ. ლოხოვამ, ა. ელიზბარაშვილმა, ჟ. ჯულაყიძემ):

ა) საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ი. გოგებაშვილის სახელობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის რეკომენდაციების შესაბამისად, 1977 წლის განმავლობაში საბაზო სკოლებში მოაწყონ სანიმუშო—საჩვენებელი სასწავლო კაბინეტები და სახელოსნოები, გამოიყენონ ისინი სახალხო განათლების ორგანოების, სკოლების ხელმძღვანელებისა და მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლების ბაზებად. გააძლიერონ საორგანიზაციო მუშაობა პედაგოგიური კადრების კვალიფიკაციის ამაღლებისათვის, სწავლების კაბინეტურ სისტემასთან დაკავშირებით;

ბ) საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსთან შეთანხმებით მოამზადონ მეთოდური მითითებანი სწავლების კაბინეტურ სისტემაზე სკოლების გადაყვანისა და მუშაობის შესახებ.

5. ჟურნალმა „სკოლა და ცხოვრებამ" (ამხ. გ. საჯაია) და გაზეთმა „სახალხო განათლებამ" (ამხ. ნ. შველიძე) პერიოდულად გამოაქვეყნონ მასალები ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების სწავლების კაბინეტურ სისტემაზე გადასვლისა და მათში მუშაობის მიმდინარეობის საუკეთესო გამოცდილების განზოგადებისათვის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

6. სკოლების სამმართველომ, ინსპექციამ და მომარაგების მთავარმა სამმართველოებმა (ამხ. ამხ. ე. ქურციკიძე, კ. სუჯაშვილი, გ. კბილაშვილი) გააძლიერონ კონტროლი სწავლების კაბინეტურ სისტემაზე ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების გადასვლის მიმდინარეობაზე, სასწავლო კაბინეტების შექმნასა და სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის დონის ამაღლებისათვის მათ ეფექტურ გამოყენებაზე.

7. სკოლების სამმართველომ (ამხ. ე. ქურციკიძე) კონტროლი დააწესოს ამ ბრძანების შესრულების მიმდინარეობაზე,

საფუძველი: საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1977 წლის 15 აგვისტოს დადგენილება.

მ ი ნ ი ს ტ რ ი ო. ქინქლაძე

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# შინაარსი

1. ბრძანება № 482—საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სისტემის ობიექტებზე მომხდარი ხანძრის შესახებ . . 3

2. დადგენილება—საქართველოს მოსწავლეთა XXIX სპარტაკიადის შედეგების შესახებ . . . . . 13

3. ბრძანება № 510—სკოლა-ინტერნატის მოსწავლეთა V რესპუბლიკური სპარტაკიადის შედეგების შესახებ . . . . . 3

4. ბრძანება № 529—ნორჩ მათემატიკოსთა ოცდამეერთე რესპუბლიკური ოლიმპიადის შედეგებისა და ოცდამეორე რესპუბლიკური ოლიმპიადის ჩატარების ღონისძიებათა შესახებ . . . . . . . . . . . 38

5. დადგენილება—1977 წელს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მასწავლებელთა ატესტაციის შედეგების შესახებ . . . . . . . 43

6. ბრძანება № 535—რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების, სწავლების კაბინეტურ სისტემაზე გადასვლის მიმდინარეობის შესახებ . . 48

ც 5/5 16092
ეროვნული ბიბლიოთეკა

რედაქტორი ნ. ა. ფოცხაძე
კორექტორი ლ. დოლიძე
ტექრედაქტორი ეკ. ნეშუმაშვილი

ფასი 10 კაპ.

ხელმოწერილია დასაბეჭდად 15/XII-77 წ. ანაწყობის ზომა 6×9,5
ქაღალდის ზომა 60×84, სასტამბო ფორმათა რაოდენობა 3,75

შეკვ. № 1333 უე—04316 ტირაჟი 5000

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს გამომცემლობათა, პოლიგრაფიისა და
წიგნის ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის
სტამბა № 11, უშ. ჩხეიძის ქ. № 19
Типография № 11, Государственного Комитета
по делам издательств, полиграфии и книжной торговли Совета
Министерство Грузинской ССР, ул. Уш Чхеидзе № 19